პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 41-ე წელი | № 151 (11762) | პარასკევი, 1 ივლისი, 1960 წ. | ფასი 20 კაპ.

ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება

30 ივნისს დილით, „ილ-18“ საპაერო ლაინერით ავსტრიის მთავრობის მიწვევით მოსკოვიდან ვენას სახელმწიფო ვიზიტით გაემგზავრა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი** ოჯახითურთ.

ავსტრიაში მოგზაურობის დროს ნ. ს. ხრუშჩოვს ახლავან: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე **ა. ნ. კოსიგინი,** სსრ კავშირის კულტურის მინისტრი **ე. ა. ფურცევა,** სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. ა. გრომიკო,** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე **გ. ა. ჟუკოვი,** სვერდლოვსკის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარე **ს. ა. სტეპანოვი,** მრჩევლები და ექსპერტები.

ვნუკოვოს აეროდრომზე საბჭოთა მთავრობის მეთაური გააცილეს ამხანაგებმა **ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი** და სხვებმა.

საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ აეროდრომზე მოსკოვის მშრომელთა ასობით წარმომადგენელი იყო.

შეკრებილებმა გულითადად გააცილეს საბჭოთა მთავრობის მეთაური, წარმატება უსურვეს მშვიდობისა და მეგობრობის ახალ მისიაში. (საკდესი).

შეხვედრა ვენის აეროდრომზე

ავსტრიის მთავრობის მოწვევით დღეს ავსტრიაში სახელმწიფო ვიზიტით ჩამოვიდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები.

შვეჰატის აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო ავსტრიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს შეხვდნენ ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ა. შერფი,** ფედერალური კანცლერი **ი. რააბი,** ვიცე-კანცლერი **ბ. პიტერმანი,** საგარეო საქმეთა მინისტრი **ბ. კრეისკი** და მთავრობის სხვა წევრები, პარლამენტის დეპუტატები, ოფიციალური პირები, ავსტრიის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

საპატიო საბჭოთა სტუმრის შესახვედრად აეროდრომზე მოვიდნენ საელჩოებისა და დიპლომატიური მისიების მეთაურები,

ვერცხლისფერი საბჭოთა ლაინერი მიადგა ახალი აეროვაგზლის დიდ ლამაზ შენობას. მისი მშენებლობა სულ ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრდა და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი იყო პირველი საპატიო სტუმარი, რომელიც ვენას ჩამოვიდა მისი ახალი „საჰაერო ჭიშკრით“.

ჰაერს ახანზარებენ საარტილერიო სალუტის ზალპები საბჭოთა მთავრობის მეთაურის პატივსაცემად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ს. ხრუშჩოვი** თვითმფრინავის ტრაპზე გამოჩნდა. ყველა შეკრებილი გულთბილად და გულითადად ხვდება საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი **ა. შერფი,** ფედერალური კანცლერი **ი. რააბი** და სხვა ოფიციალური პირები მიდიან **ნ. ს. ხრუშჩოვის** შესახვედრად, რომელსაც მიესალმებიან. ზეიმოვნად ყიჟინენ საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ჰიმნები, **ნ. ს. ხრუშჩოვი** ჩამოუვლის საპატიო ყარაულის მწყობრს.

ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტი დოქტორი **ა. შერფი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს **ნ. ს. ხრუშჩოვს** მიმართავს მისასალმებელი სიტყვით. საბჭოთა მთავრობის მეთაურმა, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ, საპასუხო სიტყვა წარმოთქვა.

ნ. ს. ხრუშჩოვი და დოქტორი **შერფი** მანქანაში ჩასხდნენ. კორტეჟი, რომელსაც ახლავს საპატიო კონვოი, შვეჰატის აეროდრომიდან ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გაემართა.

გზაში საბჭოთა მთავრობის მეთაურს გულმხურვალედ მიესალმებოდა ავსტრიის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები.

მშვიდობის, მეგობრობის ვიზიტი

30 ივნისს მზიან დილით ვნუკოვოს აეროდრომზე შეიკრიბა მოსკოვის მშრომელთა მრავალრიცხოვანი წარმომადგენელი, რათა გაეცილებინათ სახელმწიფო ვიზიტით ავსტრიაში მიმავალი საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი. ფოტო ს. სმირნოვისა.

„კეთილი იყოს თქვენი მოგზაურობა!“—ამგზავს ვენა

საუზმე ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად

ვენა, 30 ივნისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს ავსტრიის ფედერალურმა პრეზიდენტმა ა. შერფმა საუზმე გამართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის პატივსაცემად, რომელიც ავსტრიაში იმყოფება სახელმწიფო ვიზიტით.

საუზმის დროს ავსტრიის პრეზიდენტმა ა. შერფმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა სიტყვები წარმოთქვეს.

ა. შერფის სიტყვა

ბ-ნო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეგ!

როგორც ხელმძღვანელი ევროპის ყველაზე დიდი და მძლავრი სახელმწიფოსი, რომლის ტერიტორია აღმოსავლეთში ვრცელდება შორს დედამიწის ჩვენი ნაწილის ფარგლებს იქით, თქვენ ხართ სასურველი სტუმარი ავსტრიის, — პატარა ქვეყნისა, რომელიც იმყოფება სამხედრო კავშირების ორი დიდი სისტემის საზღვარზე. ხუთი წლის წინათ ავსტრიამ გამოაცხადა თავისი მუდმივი ნეიტრალიტეტი, იგი არ ემხრობა არც ერთ სამხედრო ბლოკს და არ სურს თავის ტერიტორიაზე მოითმინოს სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ბაზები. ჩვენ გამსჭვალული ვართ მისწრაფებით საკუთარი ძალებით გავუფრთხილდეთ და დავიცვათ ჩვენი ნეიტრალიტეტი. ჩვენი ტერიტორიის ხელშეუხებლობა, ჩვენი დამოუკიდებლობა.

თქვენ ჩამობრძანდით იმ ქვეყნიდან, რომლის ეკონომიკა, სოციალური წყობილება და კულტურა ემყარებიან პრინციპებს, რომლებიც სასიცოცხლოდ გამოიწვია 1917 წლის ოქტომბრის რევოლუციამ. თქვენ იმყოფებით რესპუბლიკაში, რომლის კონსტიტუცია ემყარება პარლამენტური დემოკრატიის პრინციპებს, რომლებიც პირველებმა შეიმუშავეს ამერიკის შეერთებული შტატების დამფუძნებლებმა და რომლებმაც გზა გაიკაფეს ევროპის ერთ-ერთ ნაწილში საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მეოხებით. შეუძლია თუ არა ჩვენს სამყაროში, რომელშიც გაბატონებულია დაძაბულობა და რომელიც მოუცავს წინააღმდეგობებს, ორ სახელმწიფოს, რომლებიც ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, იქონონ მშვიდობიანი, სრულ ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა?

თქვენ თვითონ, ბ-ნო პრემიერ-მინისტრო, დამაჯერებლად უპასუხეთ დადებითად ამ კითხვაზე. ორი წლის წინათ ავსტრიის მთავრობის დელეგაციის მოსკოვში ყოფნის დროს თქვენ თქვით: ის ფაქტი, რომ საბჭოთა კავშირსა და ავსტრიაში არსებობენ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემები, ხელს არ უშლის ჩვენს ხალხებს იცხოვრონ ერთმანეთთან მშვიდობით, განავითარონ თავიანთი ეკონომიური ურთიერთობა, განამტკიცონ კონტაქტი მეცნიერების, კულტურისა და სპორტის დარგში. თქვენ მაშინ ხაზგასმით აღნიშნეთ, რომ საბჭოთა კავშირისა და ავსტრიის ურთიერთობა იმის თვალსაჩინო დასტურია, რომ ორ ქვეყანას სხვადასხვა საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემით შეუძლია მშვიდობიანად და მეგობრულად იცხოვროს ისე, რომ არ ჩაერიოს ერთმანეთის საშინაო საქმეებში.

მე ვეთანხმები ამ განცხადებას. სწორად მიმაჩნია იგი. იგი ავსტრიაში ქმაყოფილებით მიიღეს. მაგრამ მე მაინც მსურს ვახსენო ორი ფაქტორი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ სხვადასხვა პოლიტიკური წყობილების სახელმწიფოთა კარგი თანამშრომლობისათვის. თანასწორუფლებიანობა არის ხანგრძლივი მეგობრობის ყველაზე საიმედო საფუძველი. იმ სახელმწიფოებრივი ხელშეკრულების მეოხებით, რომელიც ხელმოწერილია 1955 წლის მაისში, ავსტრია გახდა თანმიუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც თვითონ წყვეტს თავის მომავალს.

თქვენი დამსახურება, ბატონო პრემიერ-მინისტრო, ამ ხელშეკრულების განხორციელებაში ცნობილია და მას ავსტრიაში ღირსეულად აფასებენ. დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე იმას, რომ საქონელგაცვლა ორ ქვეყანას შორის ემყარებოდეს ვაჭრობაში ორი პარტნიორის განვითარებად ეკონომიკას. 1959 წლის შემოდგომაზე საბჭოთა კავშირში ჩემი ყოფნის დროს მე დიდი ინტერესით ვაკვირდებოდი უდიდეს პროგრესს, რომელიც თქვენს ქვეყანაში განხორციელდა 1955 წლიდან ინდუსტრიული განვითარების, მშენებლობისა და ფართო მომმარაგების საქონლით მოსახლეობის მომარაგების დარგში. აქ ავსტრიაში იმ განადგურების შემდეგ, რაც ომმა მოგვაყენა, ჩვენ უნდა ხელახლა შეგვექმნა ჩვენი მეურნეობა სრულიად ახალ საფუძველზე. მე ვფიქრობ, რომ შეგვიძლია კმაყოფილი ვიყოთ ჩვენი ღონისძიებების შედეგით. მუშებისა და მოსამსახურეების მყიდველობითი უნარი ამჟამად დახლოებით 40 პროცენტით მეტია, ვიდრე 1937 წელს იყო. შესაბამისად უკანასკნელ წლებში სასურსათო საქონელზე, ტანსაცმელზე თავიანთი მოთხოვნილების სრული დაკმაყოფილების შემდეგ ავსტრიელებმა თავიანთი ხარჯი გაადიდეს უწინარეს ყოვლისა ბინების კეთილმოწყობაზე, განათლებაზე, გართობასა და დასვენებაზე და, განსაკუთრებით, ავსტრიაში და საზღვარგარეთ მოგზაურობაზე, რაც ხშირად საკუთარი ავტომანქანებით წარმოებს.

ავსტრიას არ შეუძლია გავლენა მოახდინოს მსოფლიო პოლიტიკის განვითარებაზე, მაგრამ იგი მუდამ მზად არის მხარი დაუჭიროს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია არსებული დაძაბულობის შენელება და მშვიდობის შენარჩუნება, რაც ყველა ქვეყნის ინტერესებს შეესაბამება. დარწმუნებული ვარ, რომ, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ცისკიდური ქარიშხლის ღრუბლებმა დაფარეს და იქიდან მოისმის მეხის გრიალი, პატიოსნური მისწრაფებისა და ურთიერთგაგების მეოხებით მოხერხდება მშვიდობის შენარჩუნება.

ამ ფიქრებით ვსვამ თქვენს სადღეგრძელოს, ბატონო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეგ, ქალბატონ ხრუშჩოვს სადღეგრძელოს, რომელსაც პატივი მაქვს მივესალმო აქ, საბჭოთა დელეგაციის ყველა წევრის სადღეგრძელოს, საბჭოთა კავშირის ყველა ხალხის, აგრეთვე ხანგრძლივი მშვიდობის სადღეგრძელოს.

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

პატივცემულო ბატონო ფედერალურო პრეზიდენტო!

პატივცემულო ბატონო ფედერალურო კანცლერო!

პატივცემულო ბატონო ვიცე-კანცლერო!

პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო!

ნება მიბოძეთ უწინარეს ყოვლისა მადლობა გადაგიხადოთ თქვენ, ბატონო ფედერალურო პრეზიდენტო, გულითადი სიტყვებისათვის საბჭოთა კავშირის მისამართით, ჩვენი მთავრობის მისამართით. ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრული ურთიერთობა თვალსაჩინო დადასტურებაა იმისა, თუ რა დიდებით შედეგებს შეიძლება მიაღწიონ მთავრობებმა, თუ ისინი ხელმძღვანელობენ კეთილი ნების პრინციპებით. აგლენენ სახელმწიფოებრივ სიბრძნეს.

მე ქმაყოფილებით მივიღე თქვენი მთავრობის მოწვევა და ჩამოვედი ავსტრიაში, რათა გესაუბროთ თქვენი რესპუბლიკის ხელმძღვანელ მოღვაწეებს, შევხვდე თქვენი ქვეყნის შრომისმოყვარე და ნიჭიერ ხალხს.

ახლანდელი ავსტრია მშვიდობისმოყვარე ხალხთა ოჯახის პატივცემული წევრია. იზრდება თქვენი ქვეყნის საერთაშორისო პრესტიჟი, მისი პოლიტიკური წონა. მე ვეთანხმები ავსტრიის ხელმძღვანელ მოღვაწეებს, როცა ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში ავსტრიელი ხალხის მიერ მოპოვებული წარმატებანი ემყარება მუდმივი ნეიტრალიტეტის მტკიცე საფუძველს, რომელიც ავსტრიის პარლამენტმა ამ ხუთი წლის წინ გამოაცხადა. ავსტრიის ნეიტრალიტეტი, როგორც ამის შესახებ კარგად ილაპარაკა ბატონმა რააბმა, იმ მშვიდობისმოყვარული პოლიტიკის მტკიცე ბაზაა, რომელმაც ავსტრიელ ხალხს უნდა მოუტანოს მშვიდობა და კეთილდღეობა მომავალი დროისათვის.

ჩვენმა ბობოქარმა XX საუკუნემ ნეიტრალიტეტის ცნება ახალი შინაარსით აღავსო. იმ სახელმწიფოთა მიერ ნეიტრალიტეტის პოლიტიკის განხორციელება, რომლებშიც მთელი კაცობრიობის თითქმის მეოთხედი ცხოვრობს, თანამედროვე პირობებში ზღუდავს აგრესიული სამხედრო ბლოკების საქმიანობის სფეროს, და ცხადია — აფართოებს მშვიდობის ზონას, ამცირებს ომის რისკს.

ნეიტრალური ქვეყნების დიდმნიშვნელოვანი უპირატესობა ის არის, რომ მათი პოლიტიკა ფართო სარბიელს შლის ყველა ქვეყანასთან სასარგებლო ეკონომიური ურთიერთობისათვის, რაც უაღრესად კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს მათს ეკონომიკაზე. ნეიტრალურ სახელმწიფოებს შესაძლებლობა აქვთ ეკონომიური რესურსების მნიშვნელოვნად დიდი ნაწილი მოახმარონ თავიანთი ხალხების მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას.

საბჭოთა კავშირსა და ნეიტრალურ ქვეყნებს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა. ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით და მხარს დავუჭერთ ნეიტრალურ ქვეყნებს, რამდენადაც პოლიტიკა, რომელსაც ისინი ახორციელებენ, ემსახურება დედამიწაზე მშვიდობის განმტკიცების მიზნებს და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას.

უკანასკნელი ხუთი წლის გამოცდილებით ავსტრიის მთავრობას შეეძლო დარწმუნებულიყო, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა დიდად აფასებს ავსტრიის ნეიტრალიტეტს, მის იმ ვალდებულებებს, რომლებიც დაკავშირებულია ნეიტრალური პოლიტიკის განხორციელებასთან.

საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს კეთილმეზობლურ ურთიერთობას ავსტრიასთან, თქვენი ქვეყნის ნიჭიერ ხალხთან. ჩვენ კიდეგ უფრო უნდა დავუკავშირდეთ ერთმანეთს, ვამრავლოთ კონტაქტები ეკონომიკის, კულტურის, მეცნიერების ყველა დარგში. და ეს უეჭველად სარგებლობას მოუტანს ჩვენი ქვეყნების ხალხებს, ხელს შეუწყობს ევროპაში მშვიდობის განმტკიცებას.

ნება მიბოძეთ, ბატონო ფედერალურო პრეზიდენტო, ერთხელ კიდეგ მადლობა გადაგიხადოთ კეთილი სიტყვებისათვის და გისურვოთ ჯანმრთელობა, წარმატებანი თქვენს საქმიანობაში და პირადი კეთილდღეობა.

ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ თქვენ, ბატონო ფედერალურო კანცლერო, და თქვენ, ბატონო ვიცე-კანცლერო.

დიდ წარმატებებს გისურვებთ თქვენ ყველას, პატივცემულო ქალბატონებო და ბატონებო.

გაუმარჯოს ავსტრია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებას!

თქვენი დღეგრძელობისა იყოს.

* * *

საუზმემ თავისუფალ მეგობრულ ატმოსფეროში ჩაიარა.

ვიზიტი ვენაში

ვენა, 30 ივნისი. (საკდესი). დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ოფიციალური ვიზიტით იყო ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტთან დოქტორ ა. შერფთან. ნ. ს. ხრუშჩოვის ვიზიტს დაესწრნენ მისი თანმხლები პირები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ავსტრიაში ვ. ი. ავილოვი. შეხვედრას დაესწრო ავსტრიის რესპუბლიკის ელჩი მოსკოვში გ. ჰაიმერლე.

ნ. ს. ხრუშჩოვმა პრეზიდენტ ა. შერფს საჩუქრად მიართვა პირი ალმისა, რომელიც საბჭოთა რაკეტამ მთვარეზე მიიტანა 1959 წლის სექტემბერში.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვსა და პრეზიდენტ შერფს შორის გაიმართა საუბარი, რომელიც გულითად და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა.

ბალჰაუზპლაცზე და ამ მოედნის ახლო-მახლო ქუჩებში შეიკრიბა ავსტრიისა და უცხოეთის პრესის, რადიოს, კინოსა და ტელევიზიის მრავალი წარმომადგენელი, აგრეთვე ავსტრიის დედაქალაქის ათასობით მცხოვრები, რომლებიც ნ. ს. ხრუშჩოვს მიესალმნენ.

ავსტრიის რესპუბლიკის პრეზიდენტ ა. შერფთან ვიზიტის შემდეგ საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი ვიზიტით იყო ფედერალური კანცლერის ი. რააბის რეზიდენციაში.

ვენა, 30 ივნისი. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ოფიციალური ვიზიტით იყო ფედერალური კანცლერ ი. რაბთან. მოსალმების შემდეგ ორივე სახელმწიფოს მეთაურებ მორის გაიმართა საუბარი. ი. რაბმა ვიზიტისადმი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ ნ. ს. ხრუშჩოვი ავსტრიაში ჩამოვიდა და თქვა, რომ ძლიერ მოხარულია კვლავ შეხვდეს და ესაუბროს ნ. ს. ხრუშჩოვს.

ნ. ს. ხრუშჩოვმა ი. რაბს საჩუქრად მიართვა პირი ალმისა, რომელიც მთვარეზე მიტანილ იქნა საბჭოთა კოსმოსური რაკეტის დახმარებით.

საუბარში მონაწილეობა მიიღეს ნ. ს. ხრუშჩოვის თანმხლებმა პირებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა ავსტრიაში ვ. ი. ავილოვმა.

ვენა, 30 ივნისი. **(საკდესის სპეც. კორ.).** დღეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი ვიზიტით ეწვია ავსტრიის ვიცე-კანცლერს ბ. პიტერმანს.

საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ავსტრიის ვიცე-კანცლერს მიართვა სუვენირი — დედამიწის მესამე ხელოვნური თანამგზავრის პირი. ბ. პიტერმანმა ნ. ს. ხრუშჩოვს აჩუქა ლამაზად ნაკეთები შტაიგერის ჩაქუჩი.

ნ. ს. ხრუშჩოვსა და ბ. პიტერმანს შორის გაიმართა საუბარი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა მთავრობის მეთაურის თანმხლებმა პირებმა.

საბჭოთა მთავრობის განცხადება

ამერიკა-იაპონიის სამხედრო ხელშეკრულების «რატიფიკაციის» გამო

ამას წინათ ამერიკის შეერთებულ შტატებში, აგრეთვე იაპონიაში, იაპონელი ხალხის სურვილის წინააღმდეგ, გაიმართა ამერიკა-იაპონიის ახალი სამხედრო ხელშეკრულების რატიფიკაციის იუსტიციერება.

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ ეს ხელშეკრულება არის ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების გაკოტრებული პოლიტიკის — „ომის ზღვარზე“ პოლიტიკის, აგრესიული ბლოკების შექმნისა და სხვის ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების დანერგვის პოლიტიკის კიდევ ერთი მახინჯი ქმნილება.

განცხადებაში ხაზგასმულია, რომ ახალი ხელშეკრულება იწვევს ვითარების შემდგომ გაფუჭებას შორეულ აღმოსავლეთში. იგი ექვემდებარება ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების ხაზს, რომლის მიზანია ჩაშალოს მომწიფებული საერთაშორისო პრობლემების მოწესრიგება, შეარყიოს ნდობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში, გააძლიეროს სამხედრო მზადება და განახორციელოს აგრესიული, პროვოკაციული აქტები მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ.

ეს ხელშეკრულება, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც იაპონიის ტერიტორიას ამერიკის შეერთებული შტატების ავიაოსნად აქცევს, მეტად საშიშ მდგომარეობაში აყენებს იაპონიას.

ამერიკის იმპერიალისტურ წრეებს, აღნიშნულია შემდეგ, სურთ გახადონ იაპონია ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო წრეებსა და მონოპოლიებზე საგანგებით დამოკიდებული პოლიტიკურად და ეკონომიურად, იმედი აქვთ, რომ ხელს შეუშლიან საბჭოთა კავშირთან და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან იაპონიის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ მსოფლიოს ხალხები, მათ შორის საბჭოთა ხალხიც, ვერ უგულებელყოფენ იმ ფაქტს, რომ მილიტარისტულმა ძალებმა იაპონიაში თავიანთი ოკეანესგაღმელი მფარველების მხარდაჭერით კვლავ წამოჭყვეს თავი. საბჭოთა მთავრობას არა ერთხელ გაუფრთხილებია იაპონიის მთავრობა, თუ რა საფრთხეში აგდებს იგი თავის ქვეყანასა და ხალხს, როცა ეშვება მილიტარიზმის აღორძინებისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან სამხედრო შეთანხმების დამყარებელ გზაზე აგრესიის მიზნით.

განცხადებაში კვლავ განმეორებულია, რომ სსრ კავშირის მთავრობა ახორციელებდა და ახლაც ახორციელებს ღონისძიებებს, რათა ბოლომდე მოახდინოს საბჭოთა კავშირ-იაპონიის ურთიერთობის ნორმალიზაცია, უზრუნველყოს ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიური, კულტურული და სხვა ურთიერთობის ფართო განვითარება, რის ყველა შესაძლებლობა არსებობს. იაპონიის ყველაზე შორსმჭვრეტელი პოლიტიკური ხელმძღვანელები, ნათქვამია შემდეგ, ყოველთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ სსრ კავშირთან ურთიერთობის განვითარებას. კისის მთავრობა სხვა გზას დაადგა. მან და მისმა თანამოაზრეებმა ცხადყვეს, რომ არა სურთ ხელი შეუწყონ სსრ კავშირსა და იაპონიას შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის დამყარებას, არა სურთ ემსახურონ შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობის განმტკიცების საქმეს.

საბჭოთა მთავრობა მოაგონებს, რომ ხალხის ინტერესებისათვის უცხო კავშირები უდღეურია. ყველა საფუძველი მოიპოვება, რათა მივიჩნიოთ, რომ ამერიკა-იაპონიის კავშირსაც ასეთივე უსახელო ბედი ეწევა, როგორც თავის დროზე ეწია ყბადაღებულ ანტიკომინტერნულ პაქტს ან ბაღდადის პაქტს.

მოსკოვის საპატიო სტუმარი

30 ივნისს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის მოწვევით მოსკოვს ჩამოვიდა ინდონეზიის რესპუბლიკის მთავრობის პირველი მინისტრი რადენ ჰაჯი ჯუანდა კარტავიჯაია მეიღლიდონურთ. მას ახლავან ინდონეზიის მშენებლობისა და მრეწველობის მინისტრი ჰაირულ სალეჰი, საგარეო საქმეთა სამინისტროს გენერალური მდივანი სოეტიტო კუსუმოიუდაგდო, საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის განყოფილების გამგე დოქტორი ისმაილ ტავბე, სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკი სისოგადი და სხვები.

ინდონეზიისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე საპატიო ინდონეზიელ სტუმრს შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები ნ. გ. იგნატოვი, ა. თ. ზასიადკო, ვ. ნ. ნოვიკოვი და სხვა ოფიციალური პირები.

საპატიო სტუმრის პატივსაცემად აეროდრომზე ჩაწერიერებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა ინდონეზიის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

შეხვედრის დროს ა. ი. მიკოიანმა და რ. ჰ. ჯუანდამ სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

(საკდესი).

ძმური მეგობრობა

რაჯენდრა პრასადმა დარბაზობა გამართა

ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა **რაჯენდრა პრასადმა** 29 ივნისს კრემლის დიდ სასახლეში დარბაზობა გამართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის **ლ. ი. ბრეჟნევისა** და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ნ. ს. ხრუშჩოვის** პატივსაცემად.

დარბაზობაზე პრეზიდენტთან ერთად იყვნენ ინდოეთის ფინანსთა მინისტრი მორარჯი დესაი, რკინიგზის ტრანსპორტის მინისტრი ჯაგჯივან რამი, ინდოეთის ელჩი სსრ კავშირში კ. ჰ. უ. მენონი და ინდოეთის სხვა წარმომადგენლები.

საბჭოთა კავშირის მხრივ იყვნენ ამხანაგები **ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ს. ხრუშჩოვი** მეიღლითურთ, **ა. ბ. არისტოვი, ნ. გ. იგნატოვი, ფ. რ. კოზლოვი, ა. ნ. კოსიგინი, ო. ვ. კუუსინენი, ნ. ა. მუხიტდინოვი, დ. ს. პოლიანსკი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი** და სხვები.

დარბაზობის დროს, რომელმაც გულთბილ, მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, რ. პრასადმა და ლ. ი. ბრეჟნევმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

მიტინგი კრემლის დიდ სასახლეში

კრემლის დიდი სასახლე. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზი მორთულია ინდოეთის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით. 30 ივნისს აქ შეიკრიბნენ დედაქალაქის სამრეწველო საწარმოთა მუშაკები, მოსკოვის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, სტუდენტები, საბჭოთა არმიის მეომრები, საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების წევრები.

15 საათია. შეკრებილნი მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ პრეზიდიუმში საპატიო სტუმრის ინდოეთის პრეზიდენტის რაჯენდრა პრასადისა და მისი თანმხლები პირების, აგრეთვე ამხანაგების ა. ბ. არისტოვის, ლ. ი. ბრეჟნევის, ნ. გ. იგნატოვის, ფ. რ. კოზლოვის, ო. ვ. კუუსინენის, ა. ი. მიკოიანის, ნ. ა. მუხიტდინოვის, დ. ს. პოლიანსკის, ნ. მ. შვერნიკისა და სხვების გამოჩენას.

დარბაზის თაღებში ზეიმობრივად ქროლავენ ინდოეთისა და სსრ კავშირის ჰიმნები. სიტყვები წარმოთქვეს საბჭოთა კავშირ-ინდოეთის კულტურული ურთიერთობის საზოგადოების პრეზიდენტმა ნ. გ. ციციანმა; აზიისა და აფრიკის ქვეყნების სოლიდარობის საბჭოთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ მწერალმა ა. გ. სოფრონოვმა.

შემდეგ სიტყვები წარმოთქვეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ლ. ი. ბრეჟნევმა და ინდოეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა რაჯენდრა პრასადმა, რომლებსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის წინ

სამშობლო მადანს მოითხოვს და არა ლიჯონ სიჯყვას

საწარმოთა კოლექტივები შვიდწლედის მეორე წლისათვის ემზადებოდნენ, სოციალისტურ შეჯიბრებას აჩაღებდნენ, ახალ ვალდებულებებს იღებდნენ. ასე მოიქცა ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივიც, რომელიც ყველაზე მძლავრი და მექანიზებული საწარმოა ჭიათურაში.

— 1960 წლის გეგმას ხუთი დღით ადრე შევასრულებთ, გეგმის ზევით გამოვიღებთ 25.000 ტონა მარგანეცს, სამშობლოს მივცემთ 12.000 ტონა სასაქონლო მადანს, მათ შორის 7.800 ტონა პირველხარისხოვან კონცენტრატს, შრომის ნაყოფიერებას ორი პროცენტით გავადიდებთ, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში 700.000 მანეთს შევიტანთ, — გვპირდებოდნენ აქაური მაღაროელები.

ვალდებულებები სავსებით რეალური იყო. მათი წარმატებით განხორციელებისათვის რჩებოდა მხოლოდ შემდეგი: მექანიზმების გონივრული გამოყენება, შრომის კარგი ორგანიზაცია, მაღაროელთა დარაზმვა. მაგრამ მაღაროს ხელმძღვანელებმა, სამწუხაროდ, ეს ვერ შეძლეს.

ჩამორჩენის ძირითადი მიზეზია შიდა ტრანსპორტის მოუქნელი მუშაობა, შრომის სუსტი ორგანიზაცია. მაღაროელები ხშირად ცდებიან ლავების დანგრევით, ელმავლების, ვაგონების დროულად მიუწოდებლობით. საზიდი გზები დატალახიანებულია, ხშირია ელმავლებისა და ვაგონების ჩავარდნა. ტრანსპორტისა და მექანიზმების მუშაობას სუსტად ხელმძღვანელობენ მაღაროს მთავარი მექანიკოსი ღ. ცერცვაძე და ტრანსპორტის გამგე ა. მეგრელიშვილი.

როგორ ასრულებთ ვალდებულებას?

მაღაროს თითქმის ყველა უბანში თვალში გეცემათ მადნის დანაკარგებისადმი გულგრილი, დაუდევარი დამოკიდებულება.

რით უნდა იმართლონ თავი მაღაროს ხელმძღვანელებმა, როცა ლავების ჩიხებში არსებული ლიანდაგი და ბიგები მთლიანად ნანგრევ სივრცეში რჩება და იკარგება, რითაც წარმოება დიდძალ ზარალს ნახულობს? მაღაროს შიგნით მადნის დანაკარგები 20-25 პროცენტს შეადგენს. ეს დანაშაულია. ჯერ-ერთი, მის მონგრევაზე გარკვეული შრომა, დრო და მასალებია დახარჯული, და შემდეგ ეს მადანი ამიერიდან ხომ სამუდამოდ წიაღში რჩება და ადამიანებისათვის გამოუყენებელი ხდება.

მაღაროში ნაკლები მხარდაჭერა და გასაქანი აქვს ახალ თაოსნობას, ინიციატივას. მისი კოლექტივი განსაკუთრებით ჩამორჩებოდა პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადებაში. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო მადნის პირველადი გამდიდრებისადმი უყურადღებობა. მაღაროელებმა შ. ასანიძემ და ა. აბესაძემ კარგი თაოსნობა გამოიჩინეს — გამოაცხადეს შეჯიბრება მადნის პირველადი გამდიდრებისათვის. ეს გასული წლის ზაფხულზე იყო. ახლა კი ეს საქმე სავსებით მივიწყებულია.

აქ გასულ წელს კ. კაპანაძისა და შ. ასანიძის ბრიგადები იბრძოდნენ კომუნისტური შრომის ბრიგადების წოდების მოპოვებისათვის. მათ წელს უკვე მიეკუთვნათ კომუნისტური შრომის ბრიგადების წოდება. აღნიშნული ბრიგადების მაჩვენებლები კი წელს არც ერთ თვეში 80-90 პროცენტს არ აშორებია. ეს იმას ნიშნავს, რომ კომუნისტური შრომის ბრიგადების საპატიო წოდება მოიპოვეს და ამით თვითკმაყოფილებას მიეცნენ. რით უნდა აიხსნას ის დაბალი მაჩვენებლები, რაც ამ ბრიგადებს უკანასკნელ პერიოდში გააჩნიათ?

ბუნებრივია, რომ ასეთი მუშაობით აღებული ვალდებულებანი მხოლოდ დაპირებად დარჩა. მაღაროს თხუთმეტი უბნიდან გეგმას ვერც ერთი ვერ ასრულებს. განსაკუთრებით ჩამორჩებიან ნ. პაპიძის, ვ. კვესიტაძის, კ. აბესაძის, დ. თოდაძის, ქ. პაპიძის უბნები. შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება მაღაროს შესრულებული აქვს მხოლოდ 92 პროცენტით, ხოლო თვითღირებულების გაძვირებით მარტო ხუთ თვეში აქ 1.340.700 მანეთი იზარალეს. წელს მაღაროს კოლექტივმა სამშობლოს დააკლო რამდენიმე ათასი ტონა მაღალხარისხოვანი მარგანეცი, რომ არაფერი ვთქვათ სასაქონლო მადანზე.

ჭიათურელ მაღაროელთა დაპირებებს საქმე არ მოჰყვა. სამშობლო მაღალხარისხოვან მარგანეცს მოითხოვს და არა დაპირებებს, ლიჯონ სიტყვებს.

პ. ბიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სასიხარულო ცნობები კლანტაციევიდან

◆ **სასიხარულო** ცნობები მოდის ჩვენი რესპუბლიკის ჩაის პლანტაციებიდან. [illegible] შესვლიან მკრეფავები [illegible] ადგილებში.

მაისის შემოგვიერ-ივნისი, [illegible] ჩაის ფოთლის კრეფის სეზონი. [illegible] ჩვენი [illegible] გასანაღდებლად. ივნისის საბოლოო შედეგები ჯერ არ არის შეჯამებული, მაგრამ წინასწარი ცნობებით 145 ათასი ტონა ჩაის ფოთლისათვის ბრძოლა შეუნელებელი ტემპით მიმდინარეობს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქართველოს მეჩაიეები შეასრულებენ ნაკისრ ვალდებულებას.

ზედა სურათზე თქვენ ხედავთ ჩაის მკრეფავ ქალებს, რომლებიც ვუდაუთის რაიონის სოფელ ლიხნში ცხოვრობენ და შრომობენ. ისინი დეი, ტყუპები — როზა და ზინა კაბალიები არიან. მუდამ ერთად არიან პლანტაციაშიც. თვითეულ მათგანს უკვე ათას რვასზე მეტი კილოგრამი ჩაის ფოთლი აქვს მოკრეფილი.

◆ **აფხაზეთის** მეთამბაქოე კოლმეურნეობებმა იკისრეს მიმდინარე წელს სახელმწიფოს მიჰყიდონ 8.750 ტონა თამბაქო.

აქ უკვე დაიწყეს თამბაქოს შერჩევითი შეტეხვა. გაგრის რაიონის სოფელ ალახადის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მეთამბაქოეებმა, ჩაებნენ რა საქართველოს სამეურნეო სახელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, ვალდებულება იკისრეს წელს 137 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანონ 17 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11 ცენტნერისა.

კოლმეურნეობის მე-2 ბრიგადამ, რომელსაც გამოცდილი მეთამბაქოე ბაბარატ მოწოფია ხელმძღვანელობს, ვალდებულება იკისრა 22 ჰექტარიდან საშუალოდ ჰექტარზე აიღოს 18 ცენტნერი თამბაქოს ნედლეული. კოლმეურნეები ევა ციმინტია და აშხენ გალუსტიანი გაპირიოვნებულ ნაკვეთებში უკვე ტეხენ თამბაქოს.

სურათზე: (ქვევით) თამბაქოს შერჩევითი შეტეხვა გაგრის რაიონის სოფელ ალახადის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. წინა პლანზე კოლმეურნე ევა ციმინტია.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

როცა სემინარი შეამოძმედებითად მუშაობს

ი ხ ე მ ე, როგორც მეცნიერების სხვა დარგების, ბიოლოგიისა და მედიცინის უახლესი მონაპოვარნიც ფილოსოფიურ გაზრებას, დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე განზოგადებას საჭიროებენ და მისი შემდგომი წარმატებების ერთერთ უმნიშვნელოვანეს პირობას წარმოადგენენ. ამიტომ წიგნზე ინდივიდუალური მუშაობის შემდეგ აუცილებელია ცალკეული საკითხების კოლექტიური განხილვა. ამ მხრივ სემინარული მეცადინეობა მეტად კარგ შედეგებს იძლევა.

ორ წელიწადს სწავლობდა ბიოლოგიისა და ფილოსოფიის საკითხებს ორჯონიკიძის რაიკომთან არსებული მეთოდოლოგიური სემინარი. სემინარის მონაწილეებმა შესწავლის საგნად აირჩიეს ერთი პრობლემა — „მატერიალისტური მოძღვრება ტვინის მუშაობის შესახებ“. სემინარის მუშაობაში მონაწილეობას იღებენ მედიკები, ფიზიოლოგები, აგრეთვე ტვინის მუშაობის კანონზომიერებებით დაინტერესებული ფიზიკოსები.

სემინარის მონაწილეებმა ამ ხნის განმავლობაში შეისწავლეს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მატერიისა და აზროვნების ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ. სემინარულ მეცადინეობაზე მონაწილეთა დიდ ინტერესს იწვევდა ისეთი საკითხები, რომლებიც დაკავშირებული იყო თავის ტვინის მუშაობის ძირითად კანონზომიერებებთან. დიდი ყურადღება მიექცა ი. სეჩენოვისა და ი. პავლოვის მოძღვრების ფილოსოფიური საფუძვლების შესწავლასა და ანალიზს.

სემინარის მონაწილენი მსჯელობდნენ იმაზე, თუ რა როლს ასრულებს ტვინის მუშაობაზე მატერიალისტურ შეხედულებათა გაღრმავებაში თანამედროვე ფიზიკის, ქიმიისა და მათემატიკის მიღწევები. ზოგჯერ იმართებოდა ცხარე კამათი ამასთან დაკავშირებულ ფილოსოფიურ საკითხებზე.

დიდი მუშაობა გასწია სემინარმა ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავთან დაკავშირებით. ამ დიდმნიშვნელოვან თარიღს მიეუძღვნინთ ერთი თეორიული კონფერენცია, რომელშიც აქტიური მონაწილეობა მიიღეს როგორც სემინარის წევრებმა, ისე სხვა ამხანაგებმაც.

თეორიული კონფერენცია მიეძღვნა საკითხს — ვ. ი. ლენინი და მატერიალისტური მოძღვრება თავის ტვინის მუშაობის შესახებ. მოსმენილ იქნა ორი მოხსენება — პროფესორ პ. გელბახიანისა — „ვ. ი. ლენინი და ბუნებისმეტყველება“ და დოცენტ ლ. ავალიანისა — „მარქსისტული გნოსეოლოგიის დაცვა და განვითარება ვ. ი. ლენინის მიერ“.

კონფერენციაზე სიტყვებით გამოვიდნენ და ფილოსოფიის ცალკეულ საკითხებს შეეხნენ სამედიცინო ინსტიტუტის პარტკომის მდივანი დ. საყვარელიძე, პროფესორი ი. მენოფაშვილი, ფიზიკოსი ვ. ვაჩაბეროძე, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ნ. დაშნიანი, ასისტენტი ნ. მახათაძე, ექიმი ო. გოგიბერიძე და სხვ.

პოლიტიკური განათლების ქსელში მიმდინარე სასწავლო წელი დამთავრდა. ჩვენმა სემინარმაც დაამთავრა თავისი მუშაობა აღებულ პრობლემაზე. დასკვნითმა შემაჯამებელმა მეცადინეობამ ერთხელ კიდევ გვიჩვენა, რომ სემინარული მეცადინეობა დიდად დაგვეხმარა იდეურ-თეორიული დონის ამაღლებაში. ამხანაგებმა სურვილი გამოთქვეს, რომ მომავალ წელს სემინარმა განაგრძოს მუშაობა ახალ პრობლემაზე.

მ. საააკაშვილი.

სემინარის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

ოქტომბერი

ოქტომბერ

ატამი? უხვად უნდა გვქონდეს

(პატივცემულო რედაქციავ! ამ რამდენიმე დღის წინ თქვენს გაზეთში გამოქვეყნდა წერილი „გორული ატამი? სადღა...“, რომელიც ჩვენი მეხილეობის ერთ მეტად მტკივნეულ საკითხს — ატმის კულტურის თანდათანობით გადაგვარება-მოსპობას ეხება. ამ წერილმა ბევრი ქართველი მეხილე ჩაფიქრა, მათ შორის მეც. მსურს აღნიშნულ საკითხზე გამოვთქვა მოსაზრება, რისთვისაც გთხოვთ თუ შესაძლებელი იქნება, ეს წერილი დამისტამბოთ გაზეთში.

პატივისცემით ვ. კვალიაშვილი.

რედაქცია ასრულებს მის თხოვნას.)

ვის არ სმენია საქართველოში გორული ატმის სახელი? ვინ არ მოხიბლულა მისი გემოვნებითა და სილამაზით? იგი ხომ ჩვენი სუფრის ლაზათი და მშვენებაა. მაგრამ პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ჩვენებური ატმის ჯიშები დღეს საგანგებო მდგომარეობაშია. არ ხდება ამ კულტურისათვის განკუთვნილ მიკრორაიონებში ბაღების დროული და ხარისხოვანი დამუშავება, წამლობა, რწყვა, რაც საბოლოო ანგარიშით მის თანდათანობით გადაშენებასა და მოსპობას იწვევს.

შემოიარეთ ატენის ხეობის სოფლები და ადვილად დარწმუნდებით ამაში. ატმის ხეები აქ ზეზეულად კვდებიან. მათ გასჩენია მწვანე ბუგრი, წერნგი, ათასგვარი ავადმყოფობა და ამისათვის არავის შესტკივა გული. ვარდა იმისა, რომ ენტომოლოგები არ მიმართავენ დაავადებათა წინააღმდეგ დროულ და ხარისხოვან წამლობას, ხშირ შემთხვევაში ის შაბიამანი, რომლითაც მკურნალობა მიმდინარეობს, არ არის სუფთა, მასში დიდი პროცენტით ურევია ძაღა, რომელიც წვავს მცენარის ვეგეტატურ ნაწილებს.

ასეთი უდარდელობის გამო ატმის ხე 8-10 წელზე მეტს ვეღარ ძლებს, როცა მისი სიცოცხლის ხანგრძლივობა ჩვეულებრივ 25-30 წელს და ხშირად 40 წელსაც აღწევდა წინათ.

დასაფიქრავი როდია, რომ ამჟამად ატმის ხე ახალგაზრდობაშივე ავადდება, იწყებს ფოსის დენას, ფოთოლი ყვითლდება, ცვივა, ნაყოფი ვერ სრულდება და ერთბაშად ხმება.

ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, ეს გამოწვეულია ნიადაგის გაღარენით, მინერალური სასუქებით, ტემპერატურის მერყეობით. რა თქმა უნდა, ზემოთ მოყვანილი ფაქტორები გარკვეულად მოქმედებენ ხეზე, მაგრამ ძირითად მიზეზად მათ ვერ მიეიჩნევენ.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ ატმის ძვირფასი კულტურა, გავაახანგრძლივოთ მისი სიცოცხლე, ჩავაყენოთ იგი ნორმალურ მდგომარეობაში, საჭიროდ მიგვაჩნია რამდენიმე ადგილას, სადაც ჯერ კიდევ კარგად ხარობს ატმის ხე (კარალეთი, ხელთუბანი, მერეთი), ბელი აგროტექნიკური ღონისძიება, შეირჩეს ჯანსაღი, ძლიერი 8-10 წლის ხეები და აღებულ იქნას კურკა, რომელიც დაითესება წინასწარ მომზადებულ ნაკვეთში. ჩათესილი კურკები (2 ცალი თვითეულ ადგილას, ამოსვლის შემდეგ ძლიერს ვტოვებთ) დაშორებული უნდა იყოს 4-4 მეტრით. ეს ნაკვეთი იქნება სადედე.

ამ ბაღიდან მივიღებთ კურკას, რომელსაც მივცემთ სანერგეს საძირე მასალად.

ასეთივე წესით გაშენდება წინასწარ დამუშავებულ ნაკვეთზე ყველა ის ჯიშები, რომელთა გამრავლებაც გვსურს. აქედან აღებული სანამყენო მასალა გადაეცემა სანერგეს, რომელიც მიიღებს სრულიად სალ ნამყენს.

აქვე უნდა ვთქვათ, რომ ატენის ხეობაში ზოგან, სახელდობრ ფუძაანთ უბანში, ყველაზე მეტი რაოდენობით არის ამჟამად ატმის ძველი ნარგავი, რომელიც სალ მდგომარეობაშია და უხვ მოსავალს იძლევა. კარგი იქნება, თუ ეს უბანი გახდება საწყისი პუნქტი ატენში და აქედან მთელ ქართლში ატმის ძვირფასი ჯიშების სამრეწველო მიზნით განვითარებისათვის.

ამხანაგო მეხილეებო! რაც შეიძლება სწრაფად დავეხმაროთ ატამს — ამ ძვირფას კულტურას, გავაჯანსაღოთ და ძველ გავამრავლოთ იგი ჩვენს ბარაქიან მიწაზე.

ვ. კვალიაშვილი,
მეხილეობის სკრის საცდელი სადგურის უმცროსი მეცნიერი მუშაკი.

ბიბლიოთეკრ რედაქციას

ქომუნისტი

მე-2 გვერდი, პარასკევი,
1 ივლისი, 1960 წ.

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲨᲝᲣᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ

ᲚᲝᲜᲘᲡᲫᲘᲡ. (სპეც. კორ.). სკკპ ცენტრალური კომიტეტის კლენუმის დირექტივად შეხვედრისათვის გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს აფხაზეთის ასსრ აღგილობრივი მეურნეობის სამინისტროს საბრძოლველო საწარმოთა კოლექტივებმა, რომლებმაც 23 ივნისისათვის შეასრულეს პროდუქციის გაყიდვის ნახევარი წლის გეგმა.

საწარმოებში განხორციელდა მნიშვნელოვანი ლონისძიებანი ახალი ტექნიკის და მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვის, მოწყობილობის მოდერნიზაციის საქმეში. ამის შედეგად 7 პროცენტით გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეტანილია ერთ ათას მანეთზე მეტი.

შვიდწლედის ფონდის გამდიდრებისათვის მებრძოლთა რიგებში დგას ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივი. რომელმაც ბევრი რამ გააკეთა ტექნიკური პროგრესის დანერგვისათვის. რკინიგზის უბნებზე დანერგა ავტომატიზაცია, სატვირთო, სალიანდაგო და სხვა საბუშაოთა მექანიზაცია.

მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა მატარებლებისა და მოტორვაგონთა სექციების კონდუქტორები, გაბაცელებლებით და სალოკომოტივო ბრიგადებით მომსახურების სიხშირე. ამ ღონისძიებებმა ხუთასამდე ერთეულით შეამცირა შტატი სხვა საბუშაოზე გამოსაყენებლად, რითაც დიდი თანხები დაიზოგა.

ტექნიკური სიახლეებისა და ორგანიზაციული ღონისძიებების განხორციელებით ამიერკავკასიის რკინიგზის კოლექტივმა მიიფინარე წლის ხუთ თვეში შვიდწლედის რესპუბლიკურ ფონდში შეიტანა 17 მილიონი მანეთი.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔᲔᲑᲘᲡ ᲮᲣᲗᲓᲦᲘᲐᲜᲘ ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

დ ვ ა ნ ი ს ი. (სპეც. კორ.) პარტიის დმანისის რაიკომმა ამ დღეებში მოაწყო კოლმეურნეობის თავმჯდომარეთა ხუთდღიანი სემინარი. სემინარის მონაწილეებმა მოისმინეს მოხსენებები თემებზე: „ხორცისა და რძის წარმოების ზრდის ფაქტორები“, „მტკიცე საკვებ ბაზის შექმნა და მისი მნიშვნელობა მეცხოველეობის განვითარებაში“, „პირუტყვის ჯიშობრივი გაუმჯობესება მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდის საშუალებაა“, „დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა მნიშვნელობა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლა“ და სხვ.

სემინარმა კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებს დიდი დახმარება გაუწია ახალი ამოცანების უკეთ გაგებასა და განხორციელებაში.

ᲓᲣᲛᲘᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗᲐ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ჩ ვ ე ნ ი ბავშვებას აღზრდისათვის, მათი კეთილდღეობისათვის ზრუნავენ უფროსები, რომლებსაც ბატარები სიყვარულით ძიებსა და დიდებს ეძახიან. მაგრამ ეს „ძიები“ და „დიდები“ ყოველთვის როდი არიან პირნათელი ნორჩების წინაშე, ისინი ზოგჯერ უსულგულობასაც იჩენენ. ასეთი „ძიები“ და „დიდები“ საკმაოდ აღმოჩნდნენ ათხუთეთის ასსრ რესპუბლიკის. პატარებს მანიც იმდენი ზრდილობა აქვთ, რომ უფროსებს საყვედურს არ შეჰაღრენენ. ისე კი სასაყვედურო ძალიან ბევრია. აფხაზეთის ასსრ განათლების სამინისტროს მუშაკებმა, დამპროექტებლებმა, მშენებლებმა, წლების განმავლობაში არ შეუსრულეს ბავშვებს დაპირებული, არ აღირსეს კოლმეურნეობები სკოლა-ინტერნატები. წელს ხუთ თვეში სკოლა-ინტერნატების მშენებლობისა და რეკონსტრუქციის გეგმა მხოლოდ 77.8 პროცენტით შეასრულეს, ელდახარის სკოლა-ინტერნატის კომპლექსის მშენებლობაში კი „სარეკორდო მაჩვენებელს“ მიაღწიეს — გეგმა 25 პროცენტით შეასრულეს. ახლა, როცა პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება ცხოვრებასთან სკოლის კავშირის შემდგომ განმტკიცებას საკითხს, როცა აღებულია კურსი, რომ მოსწავლეებმა საერთო ცოდნასთან ერთად ცხოვრების, შრომის პრაქტიკული ჩვევებიც შეიძინონ, წარმოუდგენელია შეეგუწყნარონ ასეთი ჩავარდნები სკოლა-ინტერნატების მშენებლობაში.

ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲨᲔᲠᲩᲔᲕᲘᲗᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ს ა ტ ბ ო რ ე მეთევზეობა სოფლის მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი და პერსპექტიული დარგია. კოლტიერული ტბორის ერთი ჰექტარი ფართობიდან (ბუნებრივი კვების პირობებში) შეიძლება ყოველწლიურად მივიღოთ 3-4 ცენტნერი და მეტი მაღალხარისხოვანი თევზის პროდუქცია. ხოლო თუ ტბორებში თევზის ხელოვნურ გამოკვებაზე გადავალთ, ტბორის ერთი ჰექტარი ფართობიდან თევზის პროდუქციის გამოსავლიანობა 10-20 და 40 ცენტნერამდეც გაიზრდება.

სახელმწიფო თევზმეურნეობებისა და მოკვეშირე რესპუბლიკების იმ კოლმეურნეობების გამოცდილება, რომელმაც უკვე მოჰკიდეს ხელი თავიანთი წყლიანი ფართობების ათვისებას თევზმეურნეობისათვის, ამტკიცებს, რომ სატბორე მეთევზეობა ნამდვილად არის სოფლის მეურნეობის მაღალპროდუქტიული დარგი.

მაგალითად, მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკმა“ მოაწყო 3.2 ჰექტარი ტბორი. გაბაფხულზე აქ გამეფებულ იქნა 32 ათასი ცალი ყობრას ლიფსიტა, თვითეული სუფთა-ოდ 13.5 გრამი წონისა. სექტემბრის ბოლოს ტბორის წყლის სრული გაშვების შემდეგ დაჭერილ იქნა 11.2 ტონა თევზი, ე. ი. ჰექტარზე 3.5 ტონა. ამ თევზის რეალიზაციის შედეგად კოლმეურნეობამ მიიღო დიდი ფულადი შემოსავალი.

სატბორე მეთევზეობა არა მარტო დიდშემოსავლიანია, ნაკლებ შრომატევადი დარგიც არის. 5-10 ჰექტარი ფართობის ტბორის მომსახურებისა და რამდენიმე ტონა სასაქონლო თევზის მიღებისათვის საჭიროა რამოდენიმე 2-3 კაცისა, ისიც ვაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში.

ჩვენს რესპუბლიკაში საკოლმეურნეო სატბორე მეთევზეობა ახალგაზრდა დარგს წარმოადგენს. საქართველოს რელიეფისა და ჰავის პირობები საუკეთესოა საკოლმეურნეო სატბორე მეთევზეობის განვითარებისათვის. საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე განლაგებული წყალსატევები ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ თევზის მოსაშენებლად. ტბორების მოწყობა შეიძლება სოფლის მეურნეობისათვის უვარგის, ან მცირედ გამოყენებულ ადგილებში (ხევები, დაჭაობებული უბნები, დატბორებული ადგილები, მდინარეებისა და ნაკადულების კალაპოტები).

თევზის გასაზრდელად მოწყობილი ტბორები თავის მხრივ შეიძლება გამოყენებულ იქნას ნათესი ფართობების მოსარწყავად, მცენარეთა ფრინველის მოსაშენებლად, ელექტროენერგიის მისაღებად, პირტყვის წყლით მომარაგებისათვის, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის (გეგეჭკორი, ცხაკაია, ბათუმი, ფოთი, სიღნაღი, ლაგოდეხი, ხაშური, წიფელწყარო, ქობული) კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები ბუნებრივი წყლიანი ფართობების გამოსაყენებლად სატბორე მეთევზეობის განვითარებისათვის. საჭიროა საკოლმეურნეო სატბორე მეთევზეობას სწორი ორგანიზაციისა და განვითარებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უფრო მეტი დახმარება გაუწიონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ადგილობრივმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა.

ბ. უთმელიძე,
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეცხოველეობის სამმართველოს ზოოტექნიკოსი,

გ. ანანიაშვილი,
ინჟინერი.

ᲗᲔᲕᲖᲘ ᲢᲑᲝᲠᲨᲘᲪ ᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲡ

წერილი თუმცა არ დაგვჭდილა, მაგრამ...

ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔ ᲓᲐᲘᲡᲐᲯᲚ

„კომუნისტის“ რედაქციამ ზესტაფონის რაიონიდან მიიღო მამხილებელი წერილი, რომელიც შეეხებოდა რაიონის ცენტრალური აფთიაქის და მისი მმართველის ი. საყვარელიძის უხეირო მუშაობას. წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს.

მსგავსი ხარვეზები შესული იყო საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომშიც.

შემოწმებით ბევრი რამ დადასტურდა. საკითხი განხილა რაიკომის ბიურომ. კადრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის რაიონის ცენტრალური აფთიაქის მმართველს ი. საყვარელიძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბალანსში შეტანით და დაევალა მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, არ დაუშვას დარღვევები პრეპარატების დამზადება-გაყიდვაში.

პროვიზორ მ. ამდიშელიშვილს იმისათვის, რომ მან მოქ. კაპანაძისა და ბიბილაშვილს შეცდომით სხვისი წამალი მისცა, სახალხო სასამართლომ მიუსაჯა ერთი წლით იძულებითი მუშაობა, მასვე დაედო ადმინისტრაციული სასჯელი.

საფთიაქო სამმართველომ პროვიზორ ნ. ვარდოკაძეს მოქ. ზირაქაძისათვის წამლის არაწესიერად დამზადებისათვის გამოუცხადა საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

დასახულია ღონისძიება აფთიაქის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

„კომუნისტის“ რედაქციამ ზესტაფონის რაიონიდან მიიღო მამხილებელი წერილი, რომელიც შეეხებოდა რაიონის ცენტრალური აფთიაქის და მისი მმართველის ი. საყვარელიძის უხეირო მუშაობას. წერილი შესამოწმებლად გადაეგზავნა „კომუნისტის“ საკუთარ კორესპონდენტს.

მსგავსი ხარვეზები შესული იყო საქართველოს კომპარტიის ზესტაფონის რაიკომშიც.

შემოწმებით ბევრი რამ დადასტურდა. საკითხი განიხილა რაიკომის ბიურომ. კადრების არადანიშნულებისამებრ გამოყენებისა და საფინანსო დისციპლინის დარღვევისათვის რაიონის ცენტრალური აფთიაქის მმართველს ი. საყვარელიძეს გამოეცხადა საყვედური საალრიცხვო ბალანსში შეტანით და დაევალა მას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას, არ დაუშვას დარღვევები პრეპარატების დამზადება-გაყიდვაში.

პროვიზორ მ. ამდიშელიშვილს იმისათვის, რომ მან მოქ. კაპანაძისა და ბიბილაშვილს შეცდომით სხვისი წამალი მისცა, სახალხო სასამართლომ მიუსაჯა ერთი წლით იძულებითი მუშაობა, მასვე დაედო ადმინისტრაციული სასჯელი.

საფთიაქო სამმართველომ პროვიზორ ნ. ვარდოკაძეს მოქ. ზირაქაძისათვის წამლის არაწესიერად დამზადებისათვის გამოუცხადა საყვედური უკანასკნელი გაფრთხილებით.

დასახულია ღონისძიება აფთიაქის მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

ᲗᲔᲕᲖᲘ ᲢᲑᲝᲠᲨᲘᲪ ᲘᲛᲠᲐᲕᲚᲔᲑᲡ

ს ა ტ ბ ო რ ე მეთევზეობა სოფლის მეურნეობის დიდმნიშვნელოვანი და პერსპექტიული დარგია. კოლტიერული ტბორის ერთი ჰექტარი ფართობიდან (ბუნებრივი კვების პირობებში) შეიძლება ყოველწლიურად მივიღოთ 3-4 ცენტნერი და მეტი მაღალხარისხოვანი თევზის პროდუქცია. ხოლო თუ ტბორებში თევზის ხელოვნურ გამოკვებაზე გადავალთ, ტბორის ერთი ჰექტარი ფართობიდან თევზის პროდუქციის გამოსავლიანობა 10-20 და 40 ცენტნერამდეც გაიზრდება.

სახელმწიფო თევზმეურნეობებისა და მოკავშირე რესპუბლიკების იმ კოლმეურნეობების გამოცდილება, რომელმაც უკვე მოჰკიდეს ხელი თავიანთი წყლიანი ფართობების ათვისებას თევზმეურნეობისათვის, ამტკიცებს, რომ სატბორე მეთევზეობა ნამდვილად არის სოფლის მეურნეობის მაღალპროდუქტიული დარგი.

მაგალითად, მოსკოვის ოლქის ლენინის რაიონის კოლმეურნეობა „ბოლშევიკმა“ მოაწყო 3.2 ჰექტარი ტბორი. გაბაფხულზე აქ გამეფებულ იქნა 32 ათასი ცალი ყობრას ლიფსიტა, თვითეული სუფთა-ოდ 13.5 გრამი წონისა. სექტემბრის ბოლოს ტბორის წყლის სრული გაშვების შემდეგ დაჭერილ იქნა 11.2 ტონა თევზი, ე. ი. ჰექტარზე 3.5 ტონა. ამ თევზის რეალიზაციის შედეგად კოლმეურნეობამ მიიღო დიდი ფულადი შემოსავალი.

სატბორე მეთევზეობა არა მარტო დიდშემოსავლიანია, ნაკლებ შრომატევადი დარგიც არის. 5-10 ჰექტარი ფართობის ტბორის მომსახურებისა და რამდენიმე ტონა სასაქონლო თევზის მიღებისათვის საჭიროა რამოდენიმე 2-3 კაცისა, ისიც ვაზაფხულ-ზაფხულის პერიოდში.

ჩვენს რესპუბლიკაში საკოლმეურნეო სატბორე მეთევზეობა ახალგაზრდა დარგს წარმოადგენს. საქართველოს რელიეფისა და ჰავის პირობები საუკეთესოა საკოლმეურნეო სატბორე მეთევზეობის განვითარებისათვის. საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიწებზე განლაგებული წყალსატევები ფართოდ შეიძლება გამოვიყენოთ თევზის მოსაშენებლად. ტბორების მოწყობა შეიძლება სოფლის მეურნეობისათვის უვარგის, ან მცირედ გამოყენებულ ადგილებში (ხევები, დაჭაობებული უბნები, დატბორებული ადგილები, მდინარეებისა და ნაკადულების კალაპოტები).

თევზის გასაზრდელად მოწყობილი ტბორები თავის მხრივ შეიძლება გამოყენებულ იქნას ნათესი ფართობების მოსარწყავად, მცენარეთა ფრინველის მოსაშენებლად, ელექტროენერგიის მისაღებად, პირტყვის წყლით მომარაგებისათვის, ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისათვის და სხვ.

ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთი რაიონის (გეგეჭკორი, ცხაკაია, ბათუმი, ფოთი, სიღნაღი, ლაგოდეხი, ხაშური, წიფელწყარო, ქობული) კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გადადგეს პირველი ნაბიჯები ბუნებრივი წყლიანი ფართობების გამოსაყენებლად სატბორე მეთევზეობის განვითარებისათვის. საჭიროა საკოლმეურნეო სატბორე მეთევზეობას სწორი ორგანიზაციისა და განვითარებისათვის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა

ვიცხოვროთ კეთილმეზობლურად

ა. ი. მიკოიანის პრეს-კონფერენცია

ოსლო, 29 ივნისი, (საკდესი). დღეს საბჭოთა კავშირის ოსლოს საელჩოში ა. ი. მიკოიანმა პრეს-კონფერენცია გამართა ადგილობრივი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის. პრეს-კონფერენციის დაწყებისას ა. ი. მიკოიანმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

„ბატონებო! ნორვეგიაში ჩემი ყოფნა დასასრულს უახლოვდება. ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ბევრი რამ საინტერესო ნახეთ თქვენს ქვეყანაში, რომელმაც მსოფლიოს მისცა გრიგი, იბსენი, შელანშვილი პოლარული მკვლევარები ნანსენი, ამუნდსენი და ბევრი სხვა დიდი ადამიანი, ახლოს გავიცანით ნორვეგიელი ხალხის ცხოვრების თავისებურებანი, ნორვეგიის ეკონომიური და სამრეწველო განვითარება, ოსლოსთან ერთად ვეწვიეთ ალაქ სტავანგერს და დავთვალიერეთ მისი მშვენიერი გარეუბნები, ეოყავით ნორვეგიის მსხვილ სამრეწველო ცენტრში — ბერგენში.

ჩვენთვის ამ მოგზაურობამდეც ცნობილი იყო ნორვეგიელი ხალხის დიდებული ღირსებანი: მისი შრომისმოყვარეობა, დიდი ტექნიკური კულტურა, ურყევი მახვრეტება — გამოიყენონ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრენი, კიდევ უფრო ლამაზი გახადონ ნორვეგია — დასავლეთის ერთერთი ყველაზე ლამაზი ქვეყანა. აქ ყოფნის დროს მე და ჩემს თანამგზავრებს შესაძლებლობა მოგვეცა თვალნათლივ დავრწმუნებულიყავით ამაში.

ჩვენ, თქვენი მეზობელი საბჭოთა სახელმწიფოს წარმომადგენლებს, გულწრფელად და სტუმართმოყვარულად გვხვდებოდნენ ნორვეგიაში ყველგან, სადაც კი ვიყავით. ესარგებლობ რა იმით, რომ აქ გვესწრებიან პრესის წარმომადგენლები, მე მინდა პრესის საშუალებით უაღრესად დიდი და გულითადი მადლობა გადავუხადო ნორვეგიის ყველა ორგანიზაციასა და პირს, რომლებმაც ესოდენ გულითადი სტუმართმოყვარეობა გაგვიწიეს, აგრეთვე დაგვეხმარნენ ოსლოში საბჭოთა გამოფენის ორგანიზაციაში, გამოფენისა, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს.

ნორვეგიაში ჩემი ყოფნის დროს გაიმართა აზრთა გულახდილი გაზიარება პრემიერ-მინისტრთან ბატონ გერჰარდსენთან და ნორვეგიის მთავრობის წევრებთან სულ სხვადასხვა საკითხებზე. ცხადია, ჯეროვანი ყურადღება მიექცა განიარაღების პრობლემას — თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს საკითხს.

ორმოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში საბჭოთა მთავრობა ურყევად მოითხოვდა და მოითხოვს განიარაღების პრობლემის პრაქტიკულ გადაჭრას. ჯერ კიდევ 1922 წელს ლენინი ამბობდა: „ჩვენი სურვილი იქნებოდა ამაშიც, და ასეთ საკითხებშიც დავინახოთ რაც შეიძლება ნაკლები ზოგადი განცხადებანი, საზეიმო დაპირებანი, მაღალფარდოვანი ფორმულები და რაც შეიძლება მეტი უაღრესად მარტივი, უაღრესად ნათელი გადაწყვეტილებანი და ღონისძიებანი, რომლებსაც ნამდვილად მშვიდობისაკენ მივყავართ...“

ასრულებდა რა ლენინის მითითებებს, საბჭოთა დელეგაციამ გენუის კონფერენციაზე 1922 წელს — პირველ საერთაშორისო კონფერენციაზე, რომელშიც საბჭოთა რუსეთი მონაწილეობდა, დააყენა საკითხი შეიარაღების საყოველთაო შემცირების შესახებ. შემდგომ წლებში საბჭოთა მთავრობა აქტიურ ბრძოლას აწარმოებდა განიარაღებისათვის და ამ მიზნით სხვადასხვა საერთაშორისო თათბირებსა და კონფერენციებზე, მათ შორის ერთა ლიგაში, შეიტანა მთელი რიგი კონსტრუქციული წინადადებანი. მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ჩვენი ცდა მკვდარი წერტილიდან დაგვეძრა განიარაღების საქმე აწყდებოდა და დღემდე აწყდება იმ დაბრკოლებას, რომ დასავლეთის სახელმწიფოებს ჯიუტად არ სურთ განიარაღების შესახებ ლაპარაკის გარდა რაიმე გაიკეთონ. მხოლოდ ამით აიხსნება, რომ ჩვენს დროში კვლავ გრძელდება გამალებული შეიარაღება, რომელმაც განსაკუთრებით საშიში ხასიათი მიიღო იმასთან დაკავშირებით, რომ შეიქმნა ისეთი გამანადგურებელი ძალის ატომური და რაკეტული იარაღი, რომლის გამოთვლა შეუძლებელია.

ყველა საღად მოაზროვნე ადამიანმა იცის, რომ გამალებულმა ატომურმა და შეიარაღებამ შეიძლება გამოიწვიოს მხოლოდ ყველაზე უარესი რამ—გამანადგურებელი კაცის მხედრიონის ავანგარდისტულ ზრახვებში. ნორვეგიაში ყოფნის დროს ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნდა გულახდილად გვითქვა ნორვეგიის მთავრობისა და ხალხისათვის ჩვენი მოსაზრება იმ საშიშროებაზე, რაც მოელის ყველა ხალხს, მათ შორის ნორვეგიელ ხალხსაც, ასეთი მოქმედების შედეგად. მაგრამ მე ვიცი, რომ ეს ვინმეს ნორვეგიაში, მაგალითად, შემარჯვენე გაზეთს „აფტენპოსტენს“, ჩვენი გულახდილობა არ მოეწონა. მაგრამ რას იზამ, ყველას ხომ ვერ აამებ, ვფიქრობთ, რომ ისინი, ვისთვისაც ძვირფასია ნორვეგიის დამოუკიდებლობა, მშვიდობა და სიმშვიდე, სწორად გაგვიგებენ.

ვფიქრობთ, რომ გაიკვლის ხანი, როცა ზოგიერთი ჩვენი მეზობელი, რომლებიც შებოჭილი არიან ნატოს სამხედრო ვალდებულებებით, აშკარა უპირატესობას ანიჭებენ ერთი სახელმწიფოსა და მთელი იმ სამხედრო ბლოკებისადმი, რომელშიც მონაწილეობენ, და როცა ამით ზიანს აყენებენ თავიანთ ეროვნულ ინტერესებს, ეროვნულ ღირებულებათა საბჭოთა კავშირისაკენ. ჩვენ გვსურს უაღრესად კარგი და მეგობრული ურთიერთობა ვიქონიოთ ყველა ქვეყანასთან და უწინარეს ყოვლისა ჩვენს მეზობლებთან. სსრ კავშირსა და ნორვეგიას შორის არ არის არავითარი წინააღმდეგობრივი ინტერესები, არ არის რაიმე ტერიტორიული პრეტენზია ერთმანეთისადმი, ჩვენს შორის არ არის გადაუჭრელი სადავო საკითხები. ამიტომ ჩვენ სრული საფუძვლით შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი, რომ სსრ კავშირისა და ნორვეგიის ურთიერთობა განვითარდება და განმტკიცდება, რათა გადაიქცეს ეშმარიტად მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობად.

ამის საშინდარია ჩვენი ხალხების ტრადიციული მისწრაფება იცხოვრონ მუდმივი მშვიდობითა და მეგობრობით. ამაში ჩვენ ერთხელ კიდევ დავრწმუნდით ნორვეგიაში ჩვენი ყოფნის დროს. ნორვეგიის მოსახლეობის სხვადასხვა ფენის წარმომადგენლებთან შეხვედრებისა და საუბრების დროს. ერთობ გვეხიამოვნა, რომ ნორვეგიელებმა მეგობრული გრძნობები და კეთილი სურვილები გამოთქვეს ჩვენი სამშობლოსადმი. მშრომელებით უყვარდათ ამ ხაბჭოთა მეომრების ხაფლავებს, რომლებმაც თავი დადეს ნორვეგიაში გერმანიის მილიტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლის დროს. ჩვენ დიდ მადლობას ვუხდით როგორც ოსლოს, სტავანგერის, ბერგენისა და სხვა ქალაქების ადგილობრივ ხელისუფლებს, ასევე მრავალ ნორვეგიელს.

დასასრულ ნება მიბოძეთ მადლობა გადაგიხადოთ ყურადღებისათვის. თუ შეკითხვები გაქვთ, მზადა ვარ გიპასუხოთ.

ავსტრია. საბჭოთა მეომრების ძეგლი ვენის ცენტრში.

ფოტო გ. გომართელისა.

ოსლოდან მოსკოვში

ოსლო, 29 ივნისი. (საკდესი). დღეს საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიკოიანის მეთაურობით „ილ-18“ საბჭოთა თვითმფრინავით ოსლოდან მოსკოვს გაემგზავრა.

ა. ი. მიკოიანისა და მის თანმხლებ პირთა გასაცილებლად საბჭოთა და ნორვეგიული ალმებით მორთულ აეროდრომზე მოვიდნენ პრემიერ-მინისტრი ე. გერჰარდსენი, საგარეო საქმეთა მინისტრი ჰ. ლანგე, ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს და სხვა დაწესებულებათა პასუხისმგებელი თანამშრომლები.

ა. ი. მიკოიანი და მისი თანმხლები პირნი გააცილეს სსრ კავშირის ელჩმა ნორვეგიაში მ. ა. გრიბანოვმა, ნორვეგიაში საბჭოთა დაწესებულებების თანამშრომლებმა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა.

ა. ი. მიკოიანმა და ე. გერჰარდსენმა სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

* * *

29 ივნისს საღამოს ოსლოდან მოსკოვს დაბრუნდა საბჭოთა მთავრობის დელეგაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიკოიანის მეთაურობით, რომელიც ნორვეგიაში იმყოფებოდა საბჭოთა სამრეწველო გამოფენის გახსნისას. (საკდესი).

საფრანგეთი შეუფოთებულია

პარიზი, 29 ივნისი. (საკდესი). ამ უკანასკნელ დღეებში გავრცელდა ხმები, რომ საფრანგეთის ხელისუფლებს განზრახული აქვთ დათანხმდნენ, რომ საფრანგეთში განლაგდეს ამერიკის „პოლარისის“ ტიპის რაკეტები. ამან სერიოზულად შეაშფოთა საფრანგეთის საზოგადოებრიობა. ახლა შეშფოთება გაძლიერდა იმასთან დაკავშირებით, რომ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ პარიზელმა კორესპონდენტმა სულცბერგერმა დაადასტურა ეს ხმები თვისი გზითის ფურცლებზე.

გაზეთი „ლიბერასიონნმა“ გამოაქვეყნა მარსელ ფურიეს სტატია. იგი აღნიშნავს, რომ „ეს სენსაციური ინფორმაცია მეტად შეშფოთებელია ყველა ფრანგისათვის“.

ფურიე წერს: „უკვე ორი წელია ამერიკის გენერალური შტაბი დაჟინებით მოითხოვს, რომ ნატოს შეიარაღებული ძალები აღიჭურვოს ამ რაკეტით და განსაკუთრებით, რომ საფრანგეთის ტერიტორიაზე ააგონ გასაშვები მოედნები. ცნობილია ალერჯი, რომ დღემდე გენერალი დე გოლი უარს ამბობდა, თავის თანხმობას განაპირობებდა იმით, რომ საფრანგეთმა მსოფლიო სტატეგიის შემუშავებაში მონაწილეობა მიიღოს შეერთებულ შტატებსა და ინგლისთან თანაბარი უფლებებით. ეს მოთხოვნა ვაშინგტონმა უარყო“.

ახლა კი, ფურიეს სიტყვით, საფრანგეთის მთავრობა, „რომელსაც, როგორც ცნობილია, პრესტიჟისა და სამხედრო სიდიადის გარკვეული მოსაზრებები, რასაც საერთო არა აქვს რა ფრანგი ხალხის ნამდვილ ინტერესებთან, სურს შექმნას საკუთარი „დამკვიდრი ძალა“, თითქოს მზად არის კომპრომისისათვის“.

„მიუხედავად იმისა, თუ რა სახით განლაგდება საფრანგეთის ტერიტორიაზე „პოლარისის“ ტიპის რაკეტები, — წერს ფურიე, — ეს რაკეტები საშინელ საფრთხეში ჩააგდებენ მთელ საფრანგეთს. ავტორი ხაზს უსვამს, რომ ამ ნაბიჯით საფრანგეთი ხდება „ამერიკის ატომური იარაღის ბაზა“ და მან შეიძლება „განიცადოს ამის ყველა შედეგი“.

ეროვნული
ეროვნული
ეროვნული

ცხელი დღეებით მოდის ივლისი, მნახეთ! — გვეძახის სტალინის პარკი. გადაგეშვებათ თვალწინ თბილისი — ასე ლამაზი და ასე კარგი.

სურათზე: თბილისი ფუნიკულორის პლატოდან.

ფოტო ს. ონანოვისა.

„მეწყინა“...

ეზოში გზისპირად წნული ღობის გასწვრივ აღელვებული დაალაჯებდა თოფიანი კაცი და სანადირო თოფს მალ-მალე უხინჯავდა საკეტს. ხან შედგებოდა და შიშით სავსე თვალებით მიიხედავდა ოდა-სახლისაკენ, საიდანაც დროგამოშვებით მოისმოდა ქალის შემზარავი კივილი.

„რომ არ დაადგა საშველი, დროზე გავიგებდი მაინც, რა ამბავია ჩემს თავს“— თავისთვის ჩაილაპარაკა კაცმა და ერთხელ კიდევ გამოიღო თოფიდან ვაზნები და ისევ ჩაუწყო.

მოულოდნელად თოფიან კაცს მეზობელი წამოადგა თავზე.

— რას დარაჯობ, ვლადიმერ აქ, ამ ლაფაროში, რა მონადირე შენ მყავხარ, ორლულიანი თოფი რომ დაგიჭერია.

— ნადირობა კი არა და სხვაფერ მაქვს საქმე, — ნაღვლიანად თქვა ვლადიმერმა და, თავისი სიტყვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ მიეცა, უცნაურად შეარხია მოკუმული ტუჩები და ამოიოხრა: — მდაა...

მეზობელი გაოცებული შეაჩერდა უცნაურად აღელვებულ ვლადიმერს, თანაც უნდოდა ეკითხა, რა მოგვივდაო, მაგრამ სწორედ ამ დროს ოდა-სახლი ისევ კივილმა შეაზანზარა და იგი უმალვე მიხვდა ყველაფერს.

— აა, რჩება, ღმერთმა მშვიდობით გადაგირჩინოს, — თქვა მეზობელმა და მოკრძალება გამოეხატა სახეზე.

— ეჰ, მარტო მშვიდობით გადარჩენა რას მშველის, ხომ იცი, რავარც არის ჩემი საქმე.

— ჰო, ვიცი, ამდენ ქალიშვილებში ერთი ვაუიც გინდა ახლა, მარა მშვიდობით გადაგირჩინოს ცოლი ღმერთმა და, ქალიც რომ შეგეძინოს, ნუ დაგწყდება გული, შვილი შვილია.

— არა მაგი არ მითხრა, სერაფიონ, ახლა კიდევ ქალიშვილი რომ შემეძინოს, ამ თოფით მოვიკლავ თავს.

სერაფიონი ცოტა არ იყოს დაეჭვა მეზობლის ამ სიტყვებმა.

— მომეცი აქ მაგ თოფი, ამ ცხელ გულზე მართლა რამე არ მოიწიო.

— მოიცა, შე კაცო. წინასწარ რატომ მჭრი ყელს, იქნებ ვაუი მეყოლოს, სახალისოდ ერთი ორჯერ მაინც გავისვრი თოფს.

— თოფი კი არა, თუგინდ ზარბაზანი დაცალე, ოღონდ მშვიდობა იყოს... — ჩაილაპარაკა სერაფიონმა და ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას. ვლადიმერმა მწყრალად გააყოლა თვალი მოხუც მეზობელს და ჩაილაპარაკა.

— ეს სერაფი ქოსა რას გამომეცხადა ამ დილას წინასწარმეტყველივით, თუ მეექვსეც ქალი შემეძინა, იმ ორ ღერ წვეროსაც დავაგლეჯ ამ ბებერს.

ამ დროს ოდა-სახლის კიბე კისრისტეხით ჩამოირბინა მეზობლის ახალგაზრდა ქალმა.

— ვლადიმერ, ვლადიმერ, რას გაშეშებულხარ, კაცო, დაცალე ეს თოფი, მეექვსე შვილი შეგეძინა.

— რა გაკივლებს ცივი ხმით, დედაკაცო. ჯერ ეს გამაგებინე, ბიჭია?

— იმე, ბიჭია თუ გოგო, შვილი ხომ არის. ქალი სიკვდილს გადარჩა და ახლა ამან დამიწყო რაღაც...

— ადამიანო, რას წაგიგრძელებია ენა, არ მეტყვი, ვაუია თუ...

— ვაუი, თორემ ახლა, თქვენმა სიცოცხლეშ, თქვენ თუ კაცები ხართ, რითა ხართ ქალებზე უკეთესი.

— ეს ქალი გადამრევს, მითხარი ჩქარა, რა შემეძინა, თორემ გესვრი... და ვლადიმერმა თოფი გადმოიღო მხრიდან.

— ბეჩა, გადაირია ჩემი მტერი, — ფერი ეცვალა ქალს. — მართლა არ მომკლას ამ შეჩვენებულმა...

— რა გაკვს და შენი თვალის დაფსება, გოგოა, გოგო, მაგის ღირსისაც არა ხარ, — მიაძახა გაბრაზებულმა და ხირბილით გაბრუნდა სახლისაკენ.

ვლადიმერი ცოტა ხნის შემდეგ შინ შევიდა... სახლში მყოფმა მეზობლებმა, ახლო ნათესავებმა მიულოცეს მეექვსე ქალიშვილის შეძენა. ვლადიმერი კი კვლავ ფიქრებში იყო გართული.

— რას ჩამოგტირის სახე, შვილი შეგეძინა და წუხარ, ა?.. მერე რა ბავშვია, ახლავე გინდა სულში ჩაიძვრინო, ისეთი ლამაზია. მაგას ახლა კარგი სახელი უნდა შევუფრჩიოთ.

— მაგის სახელიც შეარცხვინა ღმერთმა და მაგის გაჩენაც... — თქვა მამამ და გაგულისებული დაჯდა კუთხეში.

— ანგელოზ ბავშვს რას ერჩი, შე კაცო, მაგის რა ბრალია... ნახავ, რა ვარსკვლავივით გოგო იქნება. მე რომ მკითხო, მზიას დავარქმევდი.

— მომაშორეთ აქედან, არ გამაგონოთ მაგის ხმა... — ისევ დაიწყო ღრენა ვლადიმერმა.

— რა მოგივიდა, ადამიანო, მართლა ასე გეწყინა შვილის გაჩენა?

— მეწყინა, აბა არ მეწყინა? ექვსი ქალიშვილი ეყოლა — ეს ერთი! ექვსი თუ თექვსმეტი, შენი ნახელავია, — სცადა ხუმრობა ვიოლამ.

— ეს ერთი! ეს ერთი! ეს ერთი! ახლა მეწყინა? მაგ მეექვსე ქალიშვილის გამო, ოღონ ოგ ბოგოს მეწყინა დავარქვათ, — წამოიოხრა ვიოლამ.

— აი ეს აზრი მომწონს — სწორედ მომენტის შესაფერი სახელია, — დაუკრა კვერი ხოფლის მასწავლებელმა ამ ოჯახის ნათესავმა თინა საკანდელიძემ.

პედაგოგის დასტური საკმაო იყო, რომ ეს აზრი ყველას მოსწონებოდა, და იქვე მონათლეს ბავშვი — „მეწყინა“ დაარქვეს.

— კარგია, მაგას ახე ეკუთვნის, — განაცხადა ვლადიმერმაც და თითქოს თავის ბედზე შური იძიაო, კმაყოფილი სახით წამოდგა.

გადიოდა წლები. მეწყინა იზრდებოდა, ლამაზდებოდა. პირველი კლასის მოსწავლე რომ გახდა, გოგონა უხერხულობას გრძნობდა, მეწყინას რომ უძახოდნენ — საკლასო ჟურნალშიც ასე ეწერათ.

ახლა ეს გოგონა — მეწყინა ვანის რაიონის სოფელ ზედა ბზვანის საშუალო სკოლის მე-9 კლასშია, ერთ-ერთი სანიმუშო მოსწავლეა, ოჯახშიც საყვარელია. რა არ ეხერხება მის ხელებს. როგორც შინ, ისე სკოლაში ბეჯითობით გამოირჩევა.

სახელი „მეწყინა“ კი თან სდევს. ვერც მშობლებმა და ვერც ზედა ბზვანის საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ნოსელიძე) პედაგოგებმა ვერ მოიფიქრეს, რომ მეწყინასათვის ახლა მაინც შესაფერი ჭართული სახელი დაერქმიათ. ახლა კი ვლადიმერ საკანდელიძის შვილი მეწყინა უხერხულ მდგომარეობაშია, რა სასიხარულო საქმეც უნდა გაკეთოს მისმა საქმემ, როგორადაც არ უნდა გაგახაროთ, მაინც „მეწყინას“ ეძახიან.

მეწყინა — ეს მშვენიერი გოგონა ნამდვილად ყოველმხრივ დაჯილდოებულია, რატომ ვაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში.

სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევა იშვიათი არ არის.

მშობელთა ახირება მეტად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს ჩვენს შვილებს, რომლებიც ასეთ უცნაურ სახელებს ატარებენ.

შ. ბოგუა.

სოფელი ზედა ბზვანი, ვანის რაიონი.

დაფიქრებულხართ თქვენ ამ საკითხზე?!

რედაქციისაგან: წერილში დაყენებული საკითხი მეტად საყურადღებო და ჩამაფიქრებელია. მართლაც, ზოგიერთი მშობელი ბავშვს უცნაურ, ყოველად გაუმართლებელ სახელს არქმევს. მაგალითად: რადროსია, ცრემლიკო, არველოდი, გუბუშია, ტარზანი, ზედმეტუნა, მაჟინო, გულდოზერი, კუბუშია, ოლიმპიადა და მრავალი სხვა ასეთი.

ცხადია, ამ გამოგონილ სახელებს საერთო არაფერი არა აქვთ ჩვენი ხალხის ძარგ ტრადიციასთან, ცხოვრების სიახლესთან, ოჯახის, საზოგადოების განვითარებასთან.

არქმევენ რა ასეთ „სახელებს“, მშობლები არ ფიქრობენ იმაზე, თუ შვილებს რა მწარე „საჩუქრებს“ უმზადებენ, ეს მახინჯი სახელები ძლივ დღლად გაჰყვება მათ ცხოვრების მთელ განძილზე. აბა რა სასიამოვნოა დარბაისელ ადამიანს მოგმართონ ასეთი სიტყვებით: რადროსია მაჟინოს ასულო!, ტარზან გუბუშიას-ძეო!, ცრემლიკო-გულდოზერის ასულო! და სხვ.?!

ზოგიერთი მშობლის პირადი გაანწყობილების მიხედვით მეტად სათუთი საქმის ასე გაბიაბრუება საერთო გულისწყრომას იწვევს. ამიტომ გამოგვაქვს სამსჯავროზე წერილი „მეწყინა“, რას იტყვით თქვენ, მკითხველო!

ეუცხოეთის სპორტის ამგეგი

კოპა არ ითამაშეგს

ახლა ფეხბურთის მოყვარული საზოგადოების ყურადღება მიპყრობილია ევროპის თასის გათამაშების დასკვნითი შეხვედრებისადმი, რომლებიც საფრანგეთში გაიმართება. ამ ასპარეზობისათვის დიდი ხანია ემზადებიან სსრ კავშირის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის გუნდები.

ფრანგების განზრახული აქვთ თასი ბარიზში დარჩეს, მაგრამ ნაკრების ხელმძღვანელობა, მწვრთნელები შეშფოთებული არიან უკანასკნელი ამბებით, რაც გუნდში მოხდა. ტარვმის გამო მთავარი სნაიპერი ფონტენი შეჯიბრებაში ვერ გამოვა, მაგრამ ამას დაემატა მოულოდნელი ამბავიც: საფრანგეთის საუკეთესო ფეხბურთელმა კოპამ თავის ფედერაციას ოფიციალურად განუცხადა, რომ ფეხის დაზიანების გამო იგი შეჯიბრებაში მონაწილეობას ვერ მიიღებს. გაურკვეველია შეჯიბრებაში გამოვა თუ არა პიანტონი, რომელმაც აგრეთვე ტრავმა მიიღო.

შეხვედრა შოუს გმირებთან

კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის ახალი სპექტაკლი

თბილისის კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი პირველად როდი ხვდება ბერნარდ შოუს გმირებს. ამ შეხვედრებს კი ყოველთვის კმაყოფილება მოქმედა როგორც შემოქმედებითი კოლექტივისათვის, ისე მაყურებლისათვის.

ჯერ კიდევ ოცაინი წლების დამლევს წარმოადგინეს ამ თეატრის სცენაზე ბ. შოუს „წმიდა ქალწული“, რომლის დადგმაც კოტე მარჯანიშვილს ეკუთვნოდა. როგორც მომსწრენი ამბობენ, ის სპექტაკლი დიდიერი იყო მრავალი რეჟისორული გამონაგონით, ხოლო მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა მსახიობმა კაკო კვანტალიანმა შეფე კარლოს მერვის შესანიშნავი სახე შექმნა.

ამჟამად კი დიდი ინგლისელი დრამატურგის კიდევ ერთი პიესის სცენური დაბადების მოწმენი გავხდით. რეჟისორმა ვასო ყუშიტაშვილმა დადგა „კეისარი და კლეოპატრა“, რეფელი, ბრძენული და მეტად გონებამახვილური პიესა, რომელიც შოუს მიერ პერიტანებზე დაწერილ პიესათა რკალს ეკუთვნის. „კეისარი და კლეოპატრა“, როგორც შოუს ნაწარმოებთა უმრავლესობა, სავსეა ცნობილი ავტორისეული პარადოქსებით, რომლებიც სცენურ მოქმედებას და დიალოგს საოცრად თანამედროვე ელფერს ანიჭებენ, გასაგებსა და ცოცხლად შესაცნობელს ხდიან.

რეჟისორი ვ. ყუშიტაშვილი მთელ სპექტაკლში სწორედ შოუს ამ თანამედროვლობას აყენებს ყურადღებას. დრამატურგის კვალდაკვალ რეჟისორი თითქოს შეხვალად „აფეთქებს“ პიესაში მოძხდარ ამბავთა სერიოზულობას. იმას იმდენად არც აფასებს კეისრის ან კლეოპატრას ისტორიულ - კონკრეტული პიროვნება მთელი თავისი მეფური სიდიადითა და ტრაგიკული ბედ-იღბლით, რამდენადაც უბრალო ხალხი, ჩვეულებრივი მოკვდავნი, რომელთაც ადამიანური სურვილ-მიზანიც აქვთ და მიწიერი უკეთურებაც ახასიათებთ. სწორედ ამიტომაც აღიქვამს მაყურებელი მარჯანიშვილელთა წარმოდგენას ესოდენ ლაღად და უშუალოდ.

მაგრამ ნამდვილად შეცდომა იქნება, თუ შოუს პიესის ან ამ სპექტაკლს შეეხედავთ როგორც მსუბუქ, სოციალურ ფერეას მოკლებულ ნაწარმოებს. პირიქით, რეჟისორიც, მხატვრები ი. სუბბოთაშვილი და ი. ასკურავაც და კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძეც ცდილან მაყურებელი იმ ქვეყნის ცხოვრება-ვითარების ატმოსფეროში ჩაეძირათ, სადაც მოქმედება ხდება. მხატვრებმა შექმნეს ფერთა შეხამების, კონსტრუქციისა და ფაგებმარების თვალსაზრისით უაღრესად ორიგინალური დეკორაციები. ისინი ყურადღებას არც აქცევენ ყოფით წვრილმანებს, ამ ნაშუშვარში მთავარია პირობითი დეტალები, რომლებიც განმაზოგადებელ აზრამდე აუმაღლებათ, მუსიკა კი გარკვეულ განწყობილებას, საჭირო კოლორიტს უქმნის პიესაში დატრიალებულ ამბავს. ძიგრამ საქმე მარტო მოქმედების ადგილის უტყუარობა როდია. ეთავარი და მნიშვნელოვანია, რომ პიესასაც და სპექტაკლსაც აქვს დიდი იდეა. ეს იდეა პიესის ბრწყინვალე დიალოგის სილრმეშია ჩაქსოვილი. მაგრამ მაყურებელი ძაინც ცხადად გრძნობს მას მთელი სცენური მოქმედების მანძილზე. ჩვენ ვგულისხმობთ პიესის ანტიდამპყრობლურ ტენდენციას, რომელიც კარგად შეტანილია რეჟისორს.

ამ ტენდენციას გრძნობთ კეისრისა და ეგვიპტელთა ურთიერთდაპირისპირებაში და კლეოპატრას იმ ქვეცნობიერ შეურიგებლობაშიც, რომელსაც იგი იჩენს ეგვიპტეში კეისრის ჩამოსვლის მიმართ და ძალიერ ამძაფრებენ მეტადრე მოქმედების დამაგვირგვინებელ ფინალურ რეპლიკაში.

კლეოპატრას როლს ახორციელებს შოდეა ჯაფარიძე. მომბიბვლელი ბუნებრივობით, სხარტი, საზრიანი იუმორით, ოვიოეული ფრაზის გულმოდგინე გაჯერებით ქმნის იგი ამ მთამბეჭდავ სახეს. ჯერ კიდევ გოგონა-კლეოპატრას ხორცშესხმისას მსახიობი ერთი წუთითაც არ ივიწყებს, რომ ამ გოგონაში ქვეცნობიერად ცოცხლობს მომავალი დედოფალი, ხოლო უკვე დედოფალ კლეოპატრას, ზოგჯერ ძოისხ�და ვერაგს მ. ჯაფარიე არ უკარგავს არც ბავშვურ მიამიტობას და არც უშუალობას.

ვასო გოძიაშვილი კეისარს ახორციელებს სრულიად ახალი, შეიძლება ითქვას, უჩვეულო მიდგომით. კეისარი ოდესაც არ ჰგავს ამ დიდად ნიჭიერი მსახიობის მიერ წინათ შექმნილ არც ერთ სახეს. გოძიაშვილი თამაშობს მსუბუქად, თავშეკავებულად, მაგრამ არა მოდუნებულად. მისი კეისარი გონიერი და მოქმედია, მას დიდი შინაგანი ძალაც ახასიათებს, მძაფრი ირონიაც და იშვიათი ადამიანური მიმზიდველობაც.

ჩვენ გვსმენია საყვედური მსახიობის მიმართ, რომ მისი კეისარი მეტად მოხუცია, რომ მსახიობი განზრახ უსვამს ხაზს ამ მოხუცებულობას. მაგრამ ამგვარი საყვედური სრულიად უსაფუძვლოა. სწორედ ამ ასაკობრივ უფროს-უმცროსობაშია დაფუძნებული კლეოპატრას და კეისრის ურთიერთდამოკიდებულება და ვასო გოძიაშვილიც დიდებულად ასახავს ხორცს ამ დეტალს თავის ჩანაფიქრისაა, რომელიც მთლიანად შეესაბამება შოუს ჩანაფიქრს. ამიტომაც შემთხვევითი როდია, რომ ამ წარმოდგენის საუკეთესო სცენებს სწორედ კლეოპატრასა და კეისრის შეხვედრის ეპიზოდები წარმოადგენს.

ეს ეპიზოდები სპექტაკლში გამოიყენრება როგორც მწყობრი და საუცხოოდ მეხმატაბილებული ბრწყინვალე დუეტი, და ასეც უნდა იყოს კეისრისა და კლეოპატრასადმი მიძღვნილ კარგ სპექტაკლში. შოუს პიესაში მთელი მოქმედება ხომ ამ ორ გმირზეა აგებული, დანარჩენები კი თითქოს „ფერხულში ირიან ჩამბულნი“ და თვით მსახიობებზეა დამოკიდებული, რომ არ დაიჩრდილონ მცირე როლების შესრულებისას. ჩანს, რეჟისორს კარგად ახსოვდა ეს ბარემიანება და ამიტომაც ცდილა ყველა როლისათვის მკაფიო დამახასიათებელი ნიშნთვისება მოეძებნა. ქეთევან ღარსია ე. ვაჩნაძე, რომელმაც პტოლემეოსის თავისებური დემონური სახე შექმნა. კარგი, მხატვრულად გამომსახველია ლ. ახთაძის მიერ ნიჭიერად ხორცშესხმული პტოლემე. მაყურებელი გრძნობს, რომ თავიანთ როლებზე გულმოდგინედ უმუშავნიათ ტ. საყვარელიძე (ფოტინუსი), გ. გელოვანი (პოლოდორუსი) და დ. ქუთათელაძეს (ტეოდოტეს). სპექტაკლში მხატვრულად რამდენადმე აისახულყოფილია ბრიტანეთი (ტ. არჩვაძე) და მეტადრე რუფიო (ო. მეღვინეთუხუცესი). ამ მსახიობს სწორად ეკრ გიუგია თავისი სცენური ამოცანა, და, ცოტა არ იყოს, უხეშად, დაუდგრმლად თამაშობს.

მარცდამაინც არც მასობრივი სცენებია სპექტაკლში მეტყველად დამუშავებული და შესრულებული, განსაკუთრებით წარმოდგენის დასაწყისში. ამ სცენების მონაწილე მსახიობები ბელგრილად დგებიან სცენაზე და ხანდახან ეთამაშებიან კი ეჩურჩულებიან, აკეთებენ, რომ მაყურებელი ყოველ მათგან ადევნებს თვალყურს.

რეჟისორმა ვ. ყუშიტაშვილმა რომ მოსაწონი სპექტაკლი შექმნა, უდავოა. და თუ ამ სპექტაკლს მაინც აქვს რაიმე ცალკეული ხარვეზი და ნაკლოვანება, თუ აქლია საერთო „მაღლი“, მგზებარება, გადაგზა ყოველივე შეიძლება გამოსწორებულ იქნას. ვფიქრობთ, რომ სპექტაკლი კიდევ უფრო დაიხვეწება, გაღრმავდება, გამდიდრდება ახალი ფერებით და სიხარულსაც უფრო მეტს მოუტანს როგორც შემოქმედებითს კოლექტივს, ისე მაყურებელსაც.

ეთერ გუგუშვილი.

დაიწყო აგერბაიჯანელ მეგობართა გასტროლები

სპექტაკლ „ფარხადისა და შირინის“ წარმატება

გუშინ თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში გასტროლები დაიწყეს ჩვენმა აზერბაიჯანელმა მეგობრებმა.

აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივმა მაყურებელს პირველ სპექტაკლად ცნობილი პოეტის სამად ვურდუნის დრამა „ფარხადი და შირინი“ უჩვენა... სპექტაკლის დაწყებამდე ფარდის წინ თეატრალური ხელოვნების მუშაკთა და საზოგადოებრივობის სახელით აზერბაიჯანელ სტუმრებს მიესალმა სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ვერიკო ანჯაფარიძე, რუსთაველელთა სახელით სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სახალხო არტისტმა გ. დავითაშვილმა, ხოლო თბილისის მუშა-ახალგაზრდობის სახელით — ი. ბ. სტალინის სახელობის ორთქლმავალგაგონშემაკეთებელი ქარხნის ზეინკალმა გ. ზარიძემ.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, სტალინური პრემიის ლაურეატმა ადილ ისკანდეროვმა თავის საპასუხო სიტყვაში თქვა:

— ნამდვილად დიდი მღელვარებითა და სიხარულით ჩამოვედით მშვენიერსა და აყვავებულ თბილისში, რომ ერთგვარი შემოქმედებითი ანგარიში ჩავბაროთ ჩვენს უახლოეს მეზობელსა და უძველეს ძმას — ქართველ ხალხს.

ამ ლამაზ აღმოსავლურ ლეგენდას მეტად მოხდენილი სცენური ფორმა აქვს მოძებნილი, რაც ნამდვილად ქების ღირსია.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გ. ბუხნიკაშვილი:** ამ სპექტაკლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რაოდენ მაღალ დონეზე დგას აზერბაიჯანული თეატრალური ხელოვნება, რომლის ყველაზე მომხიბვლელი ნიშან-თვისება მძაფრ ეროვნულ კოლორიტში მდგომარეობს. თუმცა ამ ეროვნულ ტრადიციებთან ერთად სპექტაკლში იგრძნობა საერთო თანადროული სცენური სიახლენიც.

აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სპექტაკლს ესწრებოდნენ აზერბაიჯანელ მეგობრებს — ბელმა სახალხო არტისტმა ალი ყურბანოვმა. ამ ლამაზ აღმოსავლურ ლეგენდას მეტად მოხდენილი სცენური ფორმა აქვს მოძებნილი, რაც ნამდვილად ქების ღირსია.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გ. ბუხნიკაშვილი:** ამ სპექტაკლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რაოდენ მაღალ დონეზე დგას აზერბაიჯანული თეატრალური ხელოვნება, რომლის ყველაზე მომხიბვლელი ნიშან-თვისება მძაფრ ეროვნულ კოლორიტში მდგომარეობს. თუმცა ამ ეროვნულ ტრადიციებთან ერთად სპექტაკლში იგრძნობა საერთო თანადროული სცენური სიახლენიც.

აზერბაიჯანის მ. აზიზბეკოვის სახელობის სახელმწიფო აკადემიური დრამატული თეატრის სპექტაკლს ესწრებოდნენ აზერბაიჯანელ მეგობრებს — ბელმა სახალხო არტისტმა ალი ყურბანოვმა. ამ ლამაზ აღმოსავლურ ლეგენდას მეტად მოხდენილი სცენური ფორმა აქვს მოძებნილი, რაც ნამდვილად ქების ღირსია.

საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე **გ. ბუხნიკაშვილი:** ამ სპექტაკლის მიხედვით შეიძლება ვიმსჯელოთ, თუ რაოდენ მაღალ დონეზე დგას აზერბაიჯანული თეატრალური ხელოვნება, რომლის ყველაზე მომხიბვლელი ნიშან-თვისება მძაფრ ეროვნულ კოლორიტში მდგომარეობს. თუმცა ამ ეროვნულ ტრადიციებთან ერთად სპექტაკლში იგრძნობა საერთო თანადროული სცენური სიახლენიც.

სპორტი

სსრ კავშირის პირველობაზე

პირველი ქვეჯგუფი

მოსკოვი, 30 ივნისი. დღეს აქ გაიმართა საკავშირო პირველობის გათამაშების მორიგი შეხვედრა ფეხბურთში პირველი ქვეჯგუფის გუნდებს შორის. თამაშობდნენ მოსკოვის „ტორპედო“ და ტაშკენტის „პახტაკორი“. მატჩის შედეგია 3:1 ტორპედოელთა სასარგებლოდ.

ტალინი. 30 ივნისი, ერევნის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივი ჩემპიონატის მორიგ ტურში შეხვდა პირველი ქვეჯგუფის აუტსაიდერს ტალინის „კალევს“. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 2:2.

დონის როსტოვი. 30 ივნისი. არმიის სასპორტო კლუბის ფეხბურთელთა გუნდმა თავის მოედანზე ჩაატარა ჩემპიონატის მე-14 ტურის მატჩი რიგის „დაუგავა-ოგზს“ კოლექტივთან. შეხვედრა დამთავრდა დონის როსტოვის სკა-ს გამარჯვებით 3:1.

კიშინიოვი. 30 ივნისი. ხარკოვის „ავანგარდი“ საკავშირო პირველობის გათამაშების მეორე წრის მორიგ მატჩში კიშინიოვში შეხვდა ადგილობრივ „მოლდოვას“. შეჯიბრება დამთავრდა ფრედ 1:1.

„ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა

გრაკელდება მოკავშირე რესპუბლიკების „ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა ზონებში. როგორც ცნობილია ამ ზონებში საქართველოდან გამოდიან თბილისის „ლოკომოტივისა“ და „ბურევესტნიკის“, აგრეთვე ბათუმის „დინამოს“, ქუთაისის „ტორპედოსა“ და რუსთავის „მეტალურგის“ გუნდები.

დღეისათვის გუნდების უმრავლესობას ჩამაფიქრებელი აქვს 10 თამაში, ზოგიერთს — 11. ჩვენი რესპუბლიკის გუნდები ლიდერთა ჯგუფში იმყოფებიან. თბილისის „ლოკომოტივი“ ზონებში მონაწილეთა შორის ერთად-ერთი გუნდია, რომელსაც ჯერ დამარცხება არ განუცდია და ჩემპიონატის პირველი ადგილისადავე ლიდერობას არავის უთმობს. ქუთაისის „ტორპედო“ მეორე ზონის ლიდერია.

გუშინ თბილისის „დინამოს“ სტადიონზე ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „ბურევესტნიკის“ გუნდმა გამართა მორიგი მატჩი სტალინაბადის „ენერგეტიკთან“ და შეხვედრა ფრედ (2:2) დამთავრა.

საერთაშორისო მატჩი კალათბურთში

ერთ კვირაზე მეტია სსრ კავშირში სტუმრად იმყოფება ოქსფორდის (ინგლისი) უნივერსიტეტის კალათბურთელ ვაჟთა კოლექტივი.

ამ დღეებში ინგლისელი კალათბურთელები მოსკოვს ეწვევნენ და აქ 29 ივნისს გამართეს მორიგი საერთაშორისო მატჩი დედაქალაქის უნივერსიტეტის გუნდთან. თამაში აღინიშნა საბჭოთა კალათბურთელების უპირატესობით და დამთავრდა მათივე გამარჯვებით ანგარიშით 93:58.

„მეწყინა“...

ცხელი დღეებით მოდის ივლისი, მნახეთ! — გვეძახის სტალინის პარკი. გადაგეშვებათ თვალწინ თბილისი — ასე ლამაზი და ასე კარგი.

სურათზე: თბილისი ფუნიკულორის პლატოდან.

ფოტო ს. ონანოვისა.

„მეწყინა“... ...

ეზოში გზისპირად წნული ღობის გასწვრივ აღელვებული დაალაჯებდა თოფიანი კაცი და სანადირო თოფს მალ-მალე უხინჯავდა საკეტს. ხან შედგებოდა და შიშით სავსე თვალებით მიიხედავდა ოდა-სახლისაკენ, საიდანაც დროგამოშვებით მოისმოდა ქალის შემზარავი კივილი.

„რომ არ დაადგა საშველი, დროზე გავიგებდი მაინც, რა ამბავია ჩემს თავს“— თავისთვის ჩაილაპარაკა კაცმა და ერთხელ კიდევ გამოიღო თოფიდან ვაზნები და ისევ ჩაუწყო.

მოულოდნელად თოფიან კაცს მეზობელი წამოადგა თავზე.

— რას დარაჯობ, ვლადიმერ აქ, ამ ლაფაროში, რა მონადირე შენ მყავხარ, ორლულიანი თოფი რომ დაგიჭერია.

— ნადირობა კი არა და სხვაფერ მაქვს საქმე, — ნაღვლიანად თქვა ვლადიმერმა და, თავისი სიტყვებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ მიეცა, უცნაურად შეარხია მოკუმული ტუჩები და ამოიოხრა: — მდაა...

მეზობელი გაოცებული შეაჩერდა უცნაურად აღელვებულ ვლადიმერს, თანაც უნდოდა ეკითხა, რა მოგვივდაო, მაგრამ სწორედ ამ დროს ოდა-სახლი ისევ კივილმა შეაზანზარა და იგი უმალვე მიხვდა ყველაფერს.

— აა, რჩება, ღმერთმა მშვიდობით გადაგირჩინოს, — თქვა მეზობელმა და მოკრძალება გამოეხატა სახეზე.

— ეჰ, მარტო მშვიდობით გადარჩენა რას მშველის, ხომ იცი, რავარც არის ჩემი საქმე.

— ჰო, ვიცი, ამდენ ქალიშვილებში ერთი ვაუიც გინდა ახლა, მარა მშვიდობით გადაგირჩინოს ცოლი ღმერთმა და, ქალიც რომ შეგეძინოს, ნუ დაგწყდება გული, შვილი შვილია.

— არა მაგი არ მითხრა, სერაფიონ, ახლა კიდევ ქალიშვილი რომ შემეძინოს, ამ თოფით მოვიკლავ თავს.

სერაფიონი ცოტა არ იყოს დაეჭვა მეზობლის ამ სიტყვებმა.

— მომეცი აქ მაგ თოფი, ამ ცხელ გულზე მართლა რამე არ მოიწიო.

— მოიცა, შე კაცო. წინასწარ რატომ მჭრი ყელს, იქნებ ვაუი მეყოლოს, სახალისოდ ერთი ორჯერ მაინც გავისვრი თოფს.

— თოფი კი არა, თუგინდ ზარბაზანი დაცალე, ოღონდ მშვიდობა იყოს... — ჩაილაპარაკა სერაფიონმა და ნელი ნაბიჯით გაუდგა გზას. ვლადიმერმა მწყრალად გააყოლა თვალი მოხუც მეზობელს და ჩაილაპარაკა.

— ეს სერაფი ქოსა რას გამომეცხადა ამ დილას წინასწარმეტყველივით, თუ მეექვსეც ქალი შემეძინა, იმ ორ ღერ წვეროსაც დავაგლეჯ ამ ბებერს.

ამ დროს ოდა-სახლის კიბე კისრისტეხით ჩამოირბინა მეზობლის ახალგაზრდა ქალმა.

— ვლადიმერ, ვლადიმერ, რას გაშეშებულხარ, კაცო, დაცალე ეს თოფი, მეექვსე შვილი შეგეძინა.

— რა გაკივლებს ცივი ხმით, დედაკაცო. ჯერ ეს გამაგებინე, ბიჭია?

— იმე, ბიჭია თუ გოგო, შვილი ხომ

— რა მოგივიდა, ადამიანო, მართლა ასე გეწყინა შვილის გაჩენა?

— მეწყინა, აბა არ მეწყინა? ექვსი ქალიშვილი ეყოლა — ეს ერთი! ექვსი თუ თექვსმეტი, შენი ნახელავია, — სცადა ხუმრობა ვიოლამ.

— ეს ერთი! ეს ერთი! ეს ერთი! ახლა მეწყინა? მაგ მეექვსე ქალიშვილის გამო, ოღონ ოგ ბოგოს მეწყინა დავარქვათ, — წამოიოხრა ვიოლამ.

— აი ეს აზრი მომწონს — სწორედ მომენტის შესაფერი სახელია, — დაუკრა კვერი ხოფლის მასწავლებელმა ამ ოჯახის ნათესავმა თინა საკანდელიძემ.

პედაგოგის დასტური საკმაო იყო, რომ ეს აზრი ყველას მოსწონებოდა, და იქვე მონათლეს ბავშვი — „მეწყინა“ დაარქვეს.

— კარგია, მაგას ახე ეკუთვნის, — განაცხადა ვლადიმერმაც და თითქოს თავის ბედზე შური იძიაო, კმაყოფილი სახით წამოდგა.

გადიოდა წლები. მეწყინა იზრდებოდა, ლამაზდებოდა. პირველი კლასის მოსწავლე რომ გახდა, გოგონა უხერხულობას გრძნობდა, მეწყინას რომ უძახოდნენ — საკლასო ჟურნალშიც ასე ეწერათ.

ახლა ეს გოგონა — მეწყინა ვანის რაიონის სოფელ ზედა ბზვანის საშუალო სკოლის მე-9 კლასშია, ერთ-ერთი სანიმუშო მოსწავლეა, ოჯახშიც საყვარელია. რა არ ეხერხება მის ხელებს. როგორც შინ, ისე სკოლაში ბეჯითობით გამოირჩევა.

სახელი „მეწყინა“ კი თან სდევს. ვერც მშობლებმა და ვერც ზედა ბზვანის საშუალო სკოლის (დირექტორი ი. ნოსელიძე) პედაგოგებმა ვერ მოიფიქრეს, რომ მეწყინასათვის ახლა მაინც შესაფერი ჭართული სახელი დაერქმიათ. ახლა კი ვლადიმერ საკანდელიძის შვილი მეწყინა უხერხულ მდგომარეობაშია, რა სასიხარულო საქმეც უნდა გაკეთოს მისმა საქმემ, როგორადაც არ უნდა გაგახაროთ, მაინც „მეწყინას“ ეძახიან.

მეწყინა — ეს მშვენიერი გოგონა ნამდვილად ყოველმხრივ დაჯილდოებულია, რატომ ვაყენებთ უხერხულ მდგომარეობაში.

სამწუხაროდ, მსგავსი შემთხვევა იშვიათი არ